

619
1997

15
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՊԵՆՏԻՆԵՆԻ
ՊԵՆՏԻՆԵՆԻ



Անանի ցգեցա, ճգեցա Անան լսանիցն մոնեա, յարցցա ինձանցնացնցն, Էբան լսոցնցն զգանա.	Անան ցգեցա ցնեցցն, Լնալ ցցեց ինձ ցգանա, ցցեցա զմառ ցսուցյալս, "Անանեանոն Է զգանա
--	---

ქართული ანბანი

ა	ბ	გ	a	1	ს	ლ	ს	200	ბ
ყ	ღ	ბ	b	2	ქ	ც	t	300	ქ
ვ	ღ	ბ	g	3	ყ	ვ	y		ყ
ძ	თ	დ	d	4	ო	უ	u	400	ო
ე	ჩ	ე	e	5	ფ	გ	p	500	ფ
ო	ჩ	ვ	v	6	ტ	მ	k	600	ტ
ზ	ც	ზ	z	7	ჩ	ღ	ღ	700	ჩ
ე	ჩ	ე	e	8	ყ	ყ	ყ	800	ყ
თ	ც	თ	t	9	გ	შ	s	900	გ
ი	ჩ	ი	i	10	ხ	ჩ	č	1000	ხ
კ	ხ	კ	k	20	ც	ც	c	2000	ც
ო	ც	ლ	l	30	ძ	ძ	z	3000	ძ
მ	ძ	მ	m	40	რ	ვ	č	4000	რ
ნ	ჩ	ნ	n	50	ს	ჭ	č	5000	ს
ჯ	ჯ	ღ	j	60	ქ	ხ	x	6000	ქ
ო	ო	ო	o	70	ყ	კ	q	7000	ყ
პ	პ	პ	p	80	ჯ	ჯ	ž	8000	ჯ
ზ	ზ	ზ	z	90	ხ	ჰ	h	9000	ხ
რ	რ	რ	r	100	ჭ	ჭ	č	10000	ჭ

შლოდოიშო დაახლოებოთ სჰო აოასჰდე ენა არსებოხ, ანბანი კი — შლოდო თოთხჰეტი (არაბული, ბერძნული, ებრაული, ეთიოპური, იაპონური, ინდური, კორეული, ლათინური, შინდოლური, სირიული, სლავერ-კირილური, სომხური, ქართული, ჩინური).
ცნობილია ქართული ანბანის სჰო ხსენებო: ასომთა-კრული, ნუსხური და შვედრული.

სვადასხვა დროს ქართული ანბანის აჰ სჰო ხსენებოდან იმბარებოდა სვადასხვა: მეცხრე საუკუნემდე — ასომთავრული. მეცხრედან მეეთომეტემდე — ნუსხური. მეეთომეტედან დღემდე იმბარებო შვედრული. ქართული ანბანის ყოველ ასოს, იკეკე რიცორც სხვა ანბანო ასოებს, თავისი რიცვითი მნიშვნელობა აქვს.



ქართული ენის ფონოლოგია გამოითქმება, რაც დღემდე მიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ არა თუ ქართულმა ვერ გამოითქვას, არამედ მხატვრობით ვალიბში ვერ ჩამოსახსნას. ... ასე მდიდარია ქართული. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა.

6030 მარი

იოსებ ნონეშვილი

* * *

ჩვენი ქართული – სიტყვაქარველი სამშობლოს ფიქრი და აღმაფრენა. ჩვენი ქართული – რუსთველის ენა, ილიას ენა, აკაკის ენა.

ხან ვავილებიხს ნელი შრიალი, ხან იაღონთა ხმატკბილი სტვენა, სიტყვა ფრთიანი, ნაპერწყლიანი, ბარაქიანი ქართული ენა.

გულუხვი, როგორც რთველში ვენახი, ხაამო, როგორც შრიალი ხეთა... ჩვენ ხომ მას დედა-ენას ვეძახით, გვიყვარდეს, როგორც მშობელი დედა.

ირაკლი აბაშიძე

აკალმსტინა,
აკალმსტინა!..

სმა, კატამონთან

„– ო, ენაე ჩემო,
დელო ენაე,
შენ, ჩვენი ნიჭო,
სრბოლაე და ფრენაე,
შენ, ჩვენი სუნთქვის დილო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო
მაღამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვითა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმთა
დაეშორილი.

მორჩა,
ვევლა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ვევლა
მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,

შენ – ერთს
შენ ვერ გომობ
სამარის კარად.



თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწეავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბეხი შენ ხარ, ენაე დელო,
შენ მწარე ღხინო,
ტკბილო სევდო,
შენ ყოვლის მოქმელო,
ყოვლის არმოქმელო,
შენ გმირთა გმირო, ბრძენო
ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესენელში მძრომო,
ცაში მჭურეტელო,
ხან – ფუნჯო ჩემო, ხან –
საჭრეთელო,
შენ, აკენის ბიძნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენაე,
ენაე თამარის...

შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლაე და ფრენაე,
დელო ენაე, დელო ენაე!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ვევლა,
მოისრას, იქნებ, ვევლა ვმა ვევლად,
დაეღოს მტვერი ვევლა დიდ
სხოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს
მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაეღვას
ფეხი,
მხოლოდ შენ, უტკბობს,
შენ, ხატად ქვეულს,
რა ფრო, რა დასცემს
შენ უკვდავ სხეულს?

ო, ენაე ჩემო,
დელო ენაე,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლაე და ფრენაე,
შენ, ჩვენი სუნთქვის დილო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო
მაღამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვითა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გომობ
სამარის პირთან“.

საქართველოს
მეცნიერებათა
აქადემიის
ბიბლიოთეკა



ჭყუხს ზენი ჰიბნი

უდას ამინდი საგანგებოდ თვირანს თბილი და დღე ჰგავს სპარსულ ყაიდაზე დახატულ სურათს. ფეხს ვინ დაადგამს ხალიჩებით მოფენილ ბილიკს, ზიმზიმებს ჯარი მოლოდინში და გასუსულა.

და უცებ ჰიბნი, უცებ თვალი ცრემლმა შებინდა, ჰჭუხს ჩვენი ჰიბნი, საღ ხმლებს მთვარის შუქში ლებავდნენ, ჰჭუხს და გადადის აბოლებულ მწვერვალებიდან სიცხით გათანგულ ზეგნებად, ხროი, კებად.

მირს კი დროდადრო სიჩუმესაც ჭრეოლა დაუვლის, არის სხვა რამე სიჩუმეში სიჩუმის გარდა. ... წინ ქვის დუმილით საპატიო დგას ყარაული და შიშველ ხმლებში დათიმითმებს ცის რუხი ფარდა.

განა, ეს მთვარე არ დანათის ღამენათევი და ლამაზ ვარდებს განა მარტო შირაზში ჰკრეფენ? ამბობს მის სითქმელს საქართველო, ამბობს ქართვილი, გინდა უბრალო კაცი ერქვას და გინდა მეფე.

ძველ ტკვილებთან პაექრობით ადრეც გართულან, მაგრამ თავისი ყველა ტკვილს აქვს გასაღები. ნახე? შიშველი ხმლების შექმი დროშამ ქართულმა შეიფარაილა სიამაყით და გალაღობით.

ფრიალებს დროშა, ჩვენი დროშა გულგასახარად მის წინ, ნატვრით რომ სიყრმედიანეე ამ დღეს ელოდა.

...დოლი ბუბუნებს, ბუკს ჩაჰბერეს, დაჰკრეს ნალარა და სხვა სინათლე შემოვიდა საქართველოდან.

ნუ დაუჯერებ თვალებზე მომდგარ ცრემლების ციმციმს, მაგრამ იცოდე, რომ ყველაფერს ჰყავს მისი მთქმელი. ...ის ხალიჩაზე ფეხს რომ დგამდა, ესმოდა, ეცტი, მპაფრი სიჩუმე მარაბდის და კრწანისის ველის.

ო, ეს სიჩუმე... წინაპრის სულს ასე ენება, ჩაჩუმა, ჩაცხრა, რომ ცოც წლებში ბეალი არ დაზრეს, და ბეერის მნახველ თვალებს ზოგჯერ მოეჩვენება ბული და მტვერი ადენილი გვაღვიან გზაზე.

ყველანაირი მელანი კი წყალს ჰგავს, სითხეა, მიეცი ფერი და შეიძელ ღამასლოვება, რომ სწორედ ახლა ხელმეორედ წასაკითხია ხანძრების ბოლმი დაწერილი ქართლის ცხოვრება.

დასანანია, ვერ თქვას ენამ თავის სათქმელი, ვერ ვიმეტებდეთ ალალ სიტყვებს, ნამიან შხეფებს მისთვის, ვინც თქარობს ისე, როგორც ყველა ქართველი, გინდა უბრალო კაცი ერქვას და გინდა მეფე.

...ის მიუყვება ხალიჩებით მოგებულ ბილიკს და დღე ჰგავს სპარსულ ყაიდაზე დახატულ სურათს. უდას ამინდი საგანგებოდ თვირანს თბილი, ზიმზიმებს ჯარი მოლოდინში და გასუსულა.

მასილ გვეტაკა

მემორია გზად და ხილად

საქართველოსა და ირანის ურთიერთობის ფესვებს შორეულ წარსულში მივყავართ. საქართველო, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლი, ექცეოდა ხოლმე ირანის ძლიერი იმპერიის გეოპოლიტიკური ინტერესების ეპიცენტრში, რასაც ხშირად მოჰყვებოდა სისხლისმღვრელი ომები, საქართველოს მოსახლეობის დარბევა და გადასახლება.

მაგრამ ამ ურთიერთობას სხვა მხარეც ჰქონდა. ქართველი ხალხის ისტორიის ჩინებულ მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „სპარსული მწერლობის გავლენის წყალობით აღორძინდა ქართული საერო პოეზიაც. თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერ ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“.

ასეთი არის ისტორიული ჰემამორიტიკა. ჩვენ დროში ერთ-ერთმა პირველთაგანმა ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ სცნო ახალი საქართველო. ირანი მტკიცედ იცავს საქართველოს საზღვრების შეუხრებლობას და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. იგი მხარს უჭერს „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივას. ირანი არის რეგიონის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა. მას ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს, როგორც მეტად მოხერხებული სატრანზიტო არტერიის, მიმართ აქვს დიდი ინტერესი.

ბ-ნ ელვარდ შევარდნაძის ვიზიტი ირანში 1993 წ. დასაწყისში ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაიწყო გაცნობისა და შესწავლის ეტაპი, ხოლო ამ ვიზიტის დროს ხელმოწერილმა დოკუმენტებმა შექმნეს მყარი სამართლებრივი ბაზა ამ ურთიერთობისათვის. პრეზიდენტ აქბარ ჰამედი რაფსანჯანის ვიზიტი საქართველოში 1995 წ. აპრილში გახლდათ კონკრეტული სამეურნეო-ეკონომიკური პროექტების განხორციელებისათვის აქტიური მოქმედების დაწყების ეტაპი.

ბოლო დროს განხორციელებული ღონისძიებები საქართველოში სტაბილურობის, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად სასიკეთოდ ადგება ირანსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალ დონეზე აყვანას.




დამამედებელი ტენდენციები შეინიშნება სასწავლო, სამეცნიერო და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის საქმეში. 1996 წლის თებერვალში თეირანში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული ფილმის დეკადა, ზაფხულში 50-ზე მეტმა სტუდენტმა და მასწავლებელმა გაიარეს სტაჟირება სპარსულ ენაში ქ. ისპაჰანისა და ქ. რეშმის უნივერსიტეტებში, შვიდმა ახალგაზრდა ქართველმა დიპლომატმა გაიარა მოკლევადიანი კურსები ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლეს დიპლომატიურ სასწავლებელში, სექტემბერში პირველად ჩატარდა საქართველო-ირანის მრავალი მაგვიდა, ოქტომბერში თეირანში ფართოდ აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 55 წლისთავი; საქართველოს ესტუმრა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, მინისტრის მოადგილე ბ-ნი აბას მალეკი, თბილისის უნივერსიტეტმა ოქტომბერში უმასპინძლა ირანელი მეცნიერების დელეგაციას, სანტერესო ღონისძიებები ჩაატარეს აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა და განათლების სამინისტროს სპარსული ენის სწავლების საკოორდინაციო ცენტრმა, ირანის ხელოვნებათმცოდნეობის ცენტრებსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმს შორის ისახება თანამშრომლობის პერსპექტივები, აღსანიშნავია ორი ქვეყნის რადიოტელევიზიის ორგანიზაციებს შორის დაწყებული კონსტრუქციული თანამშრომლობა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეორე საუკუნის მიწურულში ორი ქვეყნის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები იკვებება თანამშრომლობის მაღალ დონეზე, ჩვენი მრავალმხრივი თანამშრომლობა დავს აღმავლობის გზაზე.

პროფ. ჯემშიდ გიურაჟილი
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩი ირანის ისლამაბად რესპუბლიკაში

სსპს სსპს სსპს

პარიამ ლორთქიფანიძე
აქადემიკოსი



● საქართველო ამიერკავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ის ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი ქედით, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ამ ქედის განშტოებებით და დასავლეთიდან შავი ზღვითაა შემოფარგლული. მივილი მისი ისტორია ძირითადად ამ მიწა-წყალზე მიმდინარეობდა. ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გზლსაყრდელ ბუნებრივ პირობებს, მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებას, მდებარეობას სხვადასხვა ეპოქათა დიდი ცივილიზაციების გზავსაყრდელ. საქართველოზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთის დასავლეთთან და სამხრეთის ჩრდილოეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალები, რომელნიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ინტენსივობით ფუნქციონირებდნენ: ასეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა თუ ერთის მხრეზე ხელს უწყობდა კონტაქტებს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, ამასთანავე მას დიდი იმპერიების ინტერესთა სფეროში აქცევდა.

გეოპოლიტიკური მდებარეობა ხელს უწყობდა საქართველოს მიწა-


წყალზე სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების დასახლებას და დღეს საქართველოში 80-მდე ერის და მრავალი სხვადასხვა რწმენის ადამიანებია ცხოვრობენ. მიუხედავად ამ შიმში პირობებისა, რომელშიც ცხოვრობდა და ცხოვრობს ქართველი ხალხი და მიუხედავად ყველა დროის დამპყრობთა დიდი მცდელობისა, მისთვის როგორც წესი უცხოა კონფლიქტები ეროვნულ თუ სარწმუნოებრივ ნიადაგზე, რაც უმთავრესად ქართველთა ეროვნული ხასიათითაა განპირობებული. ადამიანის ცხოვრების უწყვეტი კვალი ისტორიული საქართვე-



ლოს მიწა-წყალზე მილიონ წელწინადაც მეტი ხნის წინა დროიდანაა დადასტურებული.

ქართველთა წინაპრებს ცხოველი საჭურჭრით-კულჩურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ უძველესი ბერძნული ცივილიზაციის ქვეყნებთან, რის გამოვლენას კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ბერძნული პრობლემა და ქართული ამირანის თქმულებათა მინარსობრივი პარალელები, არც ვინავეთა მითის დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) მოსვლის საოუვეტი და სხვა ფაქტები მოწმობენ. უფრო მჭიდრო ეს ურთიერთობა შავი ზღვის სანაპიროზე, ძვ. წ. VI საუკუნიდან ბერძნული ახალშენების ფაზისის (ფოთი), გიენისის (ოქამჩირე), დიოსკურიის (სოხუმი) და სხვათა დაარსების შემდეგ გახდა.

ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე სახელმწიფოებრივი ცხოვრება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლიდანაა დადასტურებული. დიახისა და კოლხის სამე-




ფოების დავაქის შემდეგ (ძვ. წ. VIII ს) დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლხეთის ახალი (ეგრისის) სამეფო შეიქმნა, აიქმნათა სამეფო დინასტიით, დედაქალაქით კოტაია - ქუთაისში, სადაც ადგილობრივი მონეტა, ე. წ. „კოლხური თეთრი“ იჭრებოდა.

ქართულ სამყაროს უძველესი დროიდანვე ახასიათებდა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოვ გაერთიანების ტენდენცია. ამ ტენდენციის, ჩვენითვის ცნობილი უძველესი დადასტურებაა ძვ. წ. IV ს. დასასრულსა და III ს. დასაწყისში შექმნილი იბერიის (ქართლის) სამეფო, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილსაც მოიცავდა. დედაქალაქით მცხეთაში, ფარნავაზთან სამეფო დინასტიის დამაარსებლის, მეფე ფარნავაზის სათავეში, რომელსაც ქართულა საისტორიო ტრადიცია ქართულ მწიგნობრობის შემქმნელად თვლის.

საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ რწმენას, რომელიც ჩვენში ამ მოძღვრების წამოყა-



საქართველოს




III-ის (975—1014 წწ.) და მისი მემკვიდრეების უმთავრეს ამოცანას ამ საქართველოს გარეთ დარჩენილი ქართული ქვეყნების (კახეთი, ჭრეთი, ქვემო ქართლი) შემოერთება შეადგენდა, რის განხორციელებაში დიდ დაბრკოლებად იქცა XI ს. 60-იანი წლებიდან თურქ-სელჩუკთა აგრესია, მათ მიერ საქართველოს დიდი ნაწილის დაკავება. მათ წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მეფე დავით IV (1089—1125), მაღლიერ მემკვიდრეთა მიერ აღმასაუბრებლად წოდებული. თურქ-სელჩუკები განიდევნენ საქართველოდან, გადამწყვეტი ბრძოლა დიდგორს (1121 წ., ავგისტო) ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებ-

(1184—1212) ქართული სახელმწიფოს ცხოვრება, რომელიც შავიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდილო კავკასიიდან სომხეთამდე აყო გადაჭიმული, შემდგომი აღმავლობის, სამხარო მდგომარეობის განმტკიცების, საერთაშორისო კავშირების გაფართოების, ქართული კულტურის აღმავლობის გზით ვითარდებოდა,

მაგრამ XIII ს-დან საქართველოს აღმოსავლელ დამპყრობთა ახალი ტალღები მოადგა, ჯერ მონღოლთა ასწლიანი ბატონობა (XIII ს-ის 30-იანი, XIV-ის 30-იანი წლები), შემდეგ მათ მემკვიდრეთა (თემურ ლენგის XIV ს-ის დასასრული XV ს-ის დასაწყისი და სხვათა) გამუდმებული დამანგრეველი შემოსევები აჩანებდა ქვეყანას. 1453 წ. კონსტანტინეპოლის დაცემით შეწყვეტა არსებობა საქართველოს მეზობელმა, კულტურულმა, ერთმორწმუნე სახელმწიფომ. საერთაშორისო მდგომარეობის გართულების, ქვეყნის შიგნით სეპარატისტულ ძალებს გააქტიურების შედეგად XVI ს-ის დასაწყისისათვის ერთიანი საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმე-




ბით დამთავრდა, განთავისუფლდა თბილისი (1122 წ.), სადაც აღმოჩნდა იქნა დედაქალაქი ქუთაისიდან. სელჩუკები განდევნენ მოსახლურე სომხებიდან და შარავნიდანაც ვატარებულმა რეფორმებმა (სამხედრო, საეკლესიო, სასამართლო, ადმინისტრაციული, სოციალური...) განამტკიცა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. დავითის მემკვიდრეების, განსაკუთრებით მეფე გიორგი III-ის (1156—1184), თამარის დროს



ლებების დროიდანვე ვრცელდებოდა, ხოლო სახელმწიფო რელიგიად IV ს. 30-იან წლებში გამოცხადდა და წმინდა ნინოსა და წვედ მარიაანის მოღვაწეობას უკავშირდება. V ს. II ნახ. მეფე ვახტანგ გორგასლის მცდელობით, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანა, ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა. ქრისტიანობაში ხელი შეუწყო ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას, ქართული ენის, ქართული კულტურის განვითარებას.

საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება X ს. 80-იან წლებში განხორციელებულ ისტორიულ აქტს. არაბთა, შიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლა ქართველებმა მოიგეს, დასრულდა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, შეიქმნა სახელმწიფო საქართველო, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიით სათავეში, დედაქალაქი ქუთაისში (თბილისში VIII საუკუნიდან არაბები იხსენებენ). ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ





რეთის სამეფოებად, სამცხის სამთავროდ. სამივე სამეფოს სათავეში ბაგრატიონთა ხაზლის სხვადასხვა განშტოებათა წარმომადგენლები იყვნენ, სამცხის სამთავროს — ვაჟილება განაგებდნენ. ყველა ცდა ერთიანობის აღდგენას მარცხით მთავრდებოდა.

XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე საქართველო ირანსა და ოსმალეთს შორის გამუდმებული ბრძოლის ასპარეზი იყო. ილაშქრებდნენ ერის საუკეთესო შვილები, ქვეყანა იცლებოდა მოსახლეობისაგან. მდგომარეობას ჩრდილო-კავკასიელთა მუდმივი ზეწოლა მათი აქ დასახლება ართლებდა, რისა ალაგმეა ც შეუძლებელი იყო. ასე შეიქმნა XVII—XVIII საუკუნიდან კახეთში ლეკთა, შიდა ქართლში ოსთა და დასავლეთ საქართველოში ადიღეელების (აფსუთა) დასახლებები. XVI საუკუნიდან მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ საზღიერზე რუსეთის ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო გამოვიდა. არსებულ უმძიმეს ვითარებაში ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ნაწილმა ორიენტაცია ერთმორწმუნე რუსეთზე აიღო, შექმნილ მდგომარეობაში ეს იყო „უმცირესი ბოროტება“. ქართლში 1709-1710 წლებში მივიდა ეროლე II-ის (1745—1798) მიერ 1783 წ. რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ (გეორგიევკის ტრაქტატზე) გადაწყვიტა საქართველოს ბედი, ტრაქტატს 1801 წ. რუსეთის მი-

ერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია და შემდეგ, თანდათან, საქართველოს დანარჩენი ნაწილების რუსეთთან შეერთება მოჰყვა. 1917 წ. რუსეთის იმპერიის დაშვობამ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება განაპირობა.

1918 წლის 26 მაისს დაფუძნებულმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 3 წელსაც ვერ იარსება, 1921 წლის თებერვალში საქართველოს ანექსია, ალ უკო ბოლშევიკურმა რუსეთმა განახორციელა.



მიუხედავად მძიმე ისტორიისა, ქართველმა ხალხმა მაღალი კულტურა შექმნა, ჩვენმა მიწამ დიდი რაოდენობით შემოვიინახა შორეულ წინაპართა მიერ შექმნილი ქვის, სხვადასხვა ლითონისაგან (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) დამზადებული სამეურნეო, საბრძოლო, სარიტუალო ნივთები, ოქროსა და ვერცხლის, ძვირფასი ქვებით შემკული, მაღალმატერეული გემოვნებით შესრულებული სამკაულები, საყოფაცხოვრებო თუ სარიტუალო ჭურჭელი, ნატიფად დამზადებული კერამიკული და მინის ნაწარმი, საცხოვრებელ სახლთა, სასახლეთა, აბანოთა, ციხე-ქალაქთა, საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემათა ნიმუშები. ქართველთა შორეულმა წინაპრებმა 6-7 ათასი წლის წინ დაიწყეს მცენარეთა კულტავირება. კავკასია და საქუთველ საქართველო, ზორბლის კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერაა, აქ დადასტურებულია კელურიდან კულტურულ ჯიშებზე გარდამავალი ხორბლის ჯიშების არსებობა. საქართველოში ყურძნის 500-მდე ადგილობრივი ჯიშთა ცნობილი, ვარაუდობენ, რომ ღვინის საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდების წარმომავლობა ქართულია, ხოლო რკინის სახელის „ხალისს“ ქართველურ ხალხთა ტომს უკავშირებენ რომელიც რკინის დამუშავების მცოდნეებად თვლიან. კარაუ-



დობენ, რომ სიტყვა „მედიცინა“ კოლხეთის მეფე აიეტის ასულის, არგონავტთა თქმულების ერთ-ერთ პერსონაჟის შედეგად სახელიდან მოიღოს.

ანტიკურა ხანის ბერძენი ისტორიკოსებმა აღნიშნავენ დამწერლობის არსებობას ძველ საქართველოში, კოლხეთში. „კოლხთა „ოქროსი საწმისი“ იყო ტყავზე ნაწერი წიგნი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო“, წერდა VII საუკუნის ისტორიკოსი იოანე ანტიოქელი. „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ყანვენიბას ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“, წერს აპოლინიოს როდოსელი, ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნის მეცნიერი და პოეტი.

გვიან ანტიკური ხანის ქართულ სახელმწიფოებში ჩანს გამოყენებული იყო არამეული და ბერძნული დამწერლობა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ფართო გავრცელება მოიპოვა ახალმა ქართულმა ანბანმა, რომლითაც შესრულებულია ჩვენამდე მოღწეული იერუსალიმის მახლობლად, დიდი ქართველი მოაზროვნის, პეტრე იბერიის მიერ აკებულ სამი მონასტრის იატაკის მოზაიკური წარწერები, რომელთაგან უძველესს V ს-ის 30-იანი წლებით ათარიღებენ. საქართველოში უძველესია V ს-ის 90-იანი წლების ბოლნისის სიონის სამეფ-






ნებლო წარწერა. მიკვლევლია V-VI საუკუნეების ხელნაწერ ტექსტთა ფრაგმენტები (პალიმფსესტები). ამავე პერიოდში შეიქმნა ქართული წელთაღრიცხვის სისტემა. უძველესი დროიდანვე მაღალ დონეზე იდგა განათლების საქმე. IV ს. ფახისთან (დასავლეთ საქ.) გიმნაზიონი არსებობდა, სადაც შორეული საბერძნეთიდანაც მიდიოდნენ სწავლის მისაღებად. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრები ეკლესიამონასტრებთან, როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. უმაღლესი განათლების ცენტრები იყო იყალთოს აკადემია, დაეთის მიერ დაარსებული შიო-მღვიმის, გელათის აკადემიები. ჩიკენის პოლიტეკური დაკემის, საქართველოს დაშლის შემდეგაც განაგრძობდნენ არსებობას სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრები. XVIII ს. საქართველოში სასულიერო სემინარიები არსებობდა, XIX ს. გიმნაზიონი.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიანი ქართულ-იტალიური ლექსიკონი დაიბეჭდა 1629 წელს რომში. მისი ავტორებია არიან იტალიელი პატრი სტეფანე პაოლინი და იტალიაში წარგზავნილი ბერის ნიკოლოზ ერუბაქაძე-ჩოლოყაშვილი. 1709 წელს მეფე-პოეტმა ვახტანგ მეექვსე თბილისში. არსებს სტამბას. ეს ის დროა, როცა აღმოსავლეთ საქართვე-

ლოს არც ერთ მეზობელ ქვეყანაში არ არის შემოღებული წიგნის ბეჭდვა. ამ სტამბაში 1712 წელს პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“.

განვითარების დიდი გზა განვლო ქართულმა ქრისტიანულმა მწერლობამ, ჩვენამდე მოღწეული უძველესი თხზულების იაკობ ხუცესის „მუშანიკის მარტივლიონიდან“ (V ს.) მოყოლებული შექმნილია ყველა ჟანრის ნაწარმოებები (პროზა, პოეზია), XVIII-XIX საუკუნეების დიდი ტილოების ჩათვლით. ქართული მწერლობის გვიგვიზნია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (XII ს.), ქართული რენესანსური აზროვნების უკვდავი მშენებელი,



რომელსაც დამკვიდრებული აქვს საპატიო ადგილი მსოფლიო კულტურის საგანმურში. ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის დამახასიათებელია უკვე XI-XII საუკუნეები ბრძოლა აზროვნებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების თვისუფლებისათვის, რაც რენესანსული აზროვნების გამოვლინებაა. უძველესი დროიდანვე იწერებოდა ჩვენში საისტორიო თხზულებები. ცალკეულ ეპიკათა თუ დიდ სავერულოთა „ისტორიებიდან“ ერთად იქმნებოდა ქვეყნის ერთიანი ისტორია „ქართლის ცხოვრება“, რომელიც დრო და დრო იგებოდა, რელაქტირდებოდა და ასე მოვიდა XVIII საუკუნემდე. ჩვენში იურიდიულ აზროვნებას ღრმა ფესვები აქვს. ანტიკური ხანის საქართველოში საგანგებო კანონები არსებობდა.

საქართველოში უძველესი დროიდან ვითარდებოდა ხელოვნების ყველა დარგი: ფერწერა, მოზაიკა, ხუროთმოძღვრება, რომლის საკუთესო ნიმუშებს მსოფლიო კულტურის საგანმურში საპატიო ადგილი უჭირავს.

თუმცა მე-19 საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის კოლონიად იქცა, არ ჩამკვდარა ქარ-



თველი ერის შემოქმედებითი უნარი. ნიკოლოზ ბარათაშვილის და ქართველი რომანტიკოს პოეტთა მთელი პლადის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, დიდი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა სახელები ამშვენებენ მე-19 საუკუნის მწერლობას.

ქართველ მოწინავე მოღვაწეთა ყველა ცდა მე-19 საუკუნეში დაარსებულყო უმაღლესი სასწავლებელი — მარცხით დამთავრდა. მხოლოდ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ შესაძლებელი შეიქმნა თბილისში გახსნილიყო უნივერსიტეტი (1918 წ.) — პირველი უმაღლესი სასწავლებელი მიუღეს კავკასიაში.

დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში ქართულმა კულტურამ დაიდო წარმატებებს მიაღწია. დაარსდა პირველი ქართული კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, შეიქმნა მწერალთა კავშირი, ოპერისა და ბალეტის თეატრი დაიდაგა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აქესალიმ და ეთერი“, ვიქტორ დოლიძის „ჩიტი და კიტე“. ქართულმა პროფესიულმა და ხალხურმა მუსიკამ მაღალ დონეს მიაღწია.

სამპოვო პერიოდში, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა და წინააღმდეგობისა, არ შეწყვეტილა ქართული კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების აღმავლობა.

ურმრტა ქართველ მეცნიერთა, ხელოვანთა ნიჭიერება, ჩვენი კულტურის წარმომადგენელთა ტრიუმფალურ წარმატებებს მსოფლიო სარბიელზე თითქოს საზღვარი არა აქვს, რამეთუ უმრტატა ის წყარო, მათ რომ ჰკვევტა: ესაა ქართველი ერის შემოქმედებითი პოტენციალი, გენეტიკურად გადამოცემული უხსოვარი დროიდან და ათასწლეულების სიღრმეში რომ იღებს სათავეს.



ბრიგოლ ორბელიანი

ნაწყვეტი პოეზიიდან
„სადღებრაქლო“

სხვა საქართველო ხად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი-პურადი, გულადი,
მებრძოლი შავი ბედისა?
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერადი,
მოყვარე თავის მივისა!..

ბიორგი ლეონიკა

„ღელა ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი ღელა, ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბანი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!
ღელის მუქუ მეორე, სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯღარი მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიაფში ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა, როგორც ბალი მისმა.
ტკბილად რომ გაგვიხარა, ჩვენ ბავშვობა ბეჩაფი —
შავი კაბით გაზრდილებს, გახუნებულ ლეჩაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი ღელა, ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად გულში ამოზღარათული..

ლადო ასათიანი

ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, საღვებრაქლოს ენავ!

მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა —
შლევი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტობა,

მყინვარების ღვითურ ბრწყინვალეებით ღნობა,
ჯაგანარებში ირმის ჯოგის ნაფარდობა,

გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება —
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!

უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,

სარკინეთში გრდემლზე როგორ ცეცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,

ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,

როცა ღამისმთველებს ღზინი გაუმართავთ
და სიხმრები როცა სთვლემენ სასთუმალთან..

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

ქართული პოეზია



მუსრან მაჭავარიანი

საქართველო

ვისაც უყვარს საკუთარი
სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი —
ჩინელი თუ ინდოელი,
ვინც გლეხია, ვინც მუშაა,
ვინც სიმათლის მძებნელია —
საქართველო არ უყვარდეს —
ყოვლად შეუძლებელია!

კიდეც უფრო, კიდეც უფრო
იღორძინე, საქართველოც,
კიდეც უფრო ბევრი შვილი
გამოზარდე სასახელო,
კიდეც ერთი რუსთაველი,
კიდეც ერთხელ აამღერო;
შენც ისარო, — ჩვენც გვახარო, —
გამხნეველ და გაგვამხნეო! —
გვეკლებს, საქართველოც!
შეგიძლია, საქართველოც!
გავიმარჯოს, საქართველოც!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ერთის პირობით

მწყურავლისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალისათვის
მიმატანინე ვალი,

გზაბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამელინე ზერები,

მომამებნიე
სხვაგან დამარხული ძმები,
ამ ჩემს მამულში
ღამამარხვინე ძვლები,

მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,
წამოვალ, საცა ჯინდა.

ოპარ ხაიაში

როზაიაში

რადგან რაიშე, ქარის გარდა, არ არსებულა, რადგან ყოველი დავსებულა, რაც ავსებულა, არარსებული არსებულად უნდა ჩათვალო, არსებული კი მიიჩნიო არარსებულად.


ვიდრე ვინაღვლო, მართალ გზაზე შევდექე თუ არა, ჩემი ცხოვრება გამოიღებს შედეგს თუ არა, ღვინით ამოვსე ეგ ფიალა, რადგან არც ვიცოც, ამოვიხუნთქავ ამ ჩასუნთქვის შემდეგ თუ არა?!

ტუხის ციხეზე შემჯდარიყო ფრინველი ერთი, ქეიჭაუსის თავის ქალა დაეღო ფერხითი, ეუზნებოდა სინანულით: - ვაგლახ, რა იქნა შენი ბუკის და ნადარის ხმა, სად არის ღმერთი?!

ამბობენ, რომ ჯოჯოხეთში იქნებოა კრული ყველა ლოთი და არშიყი, ვინც შულახა რჯული. ეს რომ მართლა ასე იყოს, მამ სამოთხე ხვალვე ისე დაცარიელდება, როგორც ხელისგული.

ბაგით დავწვდი ღოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე, ღღერმელობას ვეძიებდი, ჟამთა სრბოლით დავიდაგე. ღოქმა მოთხრა საიდუმლოდ: მომაგებე ბაგეს ბაგე, ქვეყნად განა კიდევ მოხვალ, დალიეო, რას ქადაგებ!

საპარსულიდან თარგმანა
შახუშირ ამოაბიზილიდა



چون نیست ز هر چه هست جز باد به دست
چون هست به هر چه هست نقصان و شکست
انگار که هر چه هست در عالم نیست
پندار که هر چه نیست در عالم هست

ناکی غم آن فورم که دارم یا نه
وین عمر به خوشدلی گدارم یا نه
بیرکن قدح باده که معلوم نیست
کایس دم که فرو برم بر آرم یا نه

مرغی دیدم نشسته بر باره طوس
در پیش نهاد کله کیکاوس
با کله همی گفت که افسوس افسوس
کو بانگ بر سرها و کجا ناله کوس

იხაში სომეხები

საბრძოლსთვის ვინაა

შენთან შეყრის და ყოფნის
სურვილით
მე ჩემ საკუთარ სულს გავეყარე.
შენი გულისთვის დავტოვე სახლი,
დავაგდე ჩემი სამშობლო მხარე.

განა არ შეავდა მამულში თვისი,
მა, მეგობარი და ნათესავი,
„მავრამ სუყველას გამოვოფხოვე,
აქ მოველ და შენ შეგწირე თავი.“

შქონდა წალკოტი და იმ
წალკოტში
შეკეთა ბუღე თბილი და მყუდრო,
მავრამ ის ბუღე შენ დამინერე
და დღეს არ ვიცოც, სად დავეუდლო.

პირუმტკიცარო, მე რომ
მცოდნეოდა,
მომიკებავდი შენ ცხვირწინ
კარებს,
იმ ჩემს წალკოტში ვიწრუდუნებდი,
არ გამოვოფდი თავს სახლის
გარეთ.

თარგმანი
ბაბალი თოდუასი



ერთ ბელქვემ ვიყავით. ერთი და იგივე უბედურება გვატყდებოდა თავს, როდესაც აღმოსავლეთიდან დაძრული მომთაბარე ტომთა ურდოები ყოვლისშემდეგ ნაკადად მოედინებოდნენ დასავლეთისაკენ. ცეცხლითა და მახვილით იყრობდნენ აყვავებულ ქვეყნებს, რათა იქაური ყაჩები და ბაღ-ვენახები თავიანთი ჯოგებისა და ფარების საძივრად გადაეციათ.

ერთ ბელქვემ ვიყავით. ერთი და იგივე მრისხანე სასჯელი გვატყდებოდა თავს, რომელსაც ხან მალიქ-შაჰი ერქვა, ხან ჩინ-გიზ-ყენი, ხანაც თემურ-ლენგი — აღმოსავლეთის სახელგანთქმული ხელმწიფენი, დასავლეთის დაპყრობასაც რომ ოცნებობდნენ და იქით მიმავალ გზაზე ირანი და საქართველო, უსათუოდ, უნდა გავვლოთ, გაეძარცვათ და გაეპარტახებინათ.

ცანსლორდაული მეჩეთი

სპარსელი ისტორიკოსი ჰამ-დალაჰ ყაზვინი თავის გოლქისლ მატეანეში გვაძინებს, რომ 1220 წლის 7 თქტომბერს, მონღოლთა მხედართმთავარი სუბუდი ამგინ-გურე ვეფხვიეთ გამოიჭრა ქალაქ ზენჯანიდან ყაზვინისაკენ. როდესაც იქ შეიტყვეს, ომის აზრდელი და საზარელი კაება გვიანბროდებო, მყისვე ჩაეტეს კლდესაგით ურყევი კარიბჭე ქალაქისა, ციხის გალავანი საბრძოლოდ გამზადდებოთ მეომრებით დაიხუნძლა და... სამი დღე აკავებდნენ უღმობელ მტერს.

მეთერთ დღეს მონღოლებმა ყაზვინი აიღეს და ერთი ბედი ეწია დიდებულსა და მდაბიორს, მოხუცსა და ჩვილს, კაცსაც და ქალსაც. უბრალო ქალწულნი თავს იკლავენ, ოღონდ აუბორც მონ-

ეროვნული სიძინათაღი

ლოლებს ხელი არ ჩავარდნობდნენ. ქუჩებს აივსო გვამებთან და ფეხის დასადგმელი გოჯიც აღარ მოიმეზნებოდა. მოსახლეობის ერთ-მა ნაწილმა მეჩეთს შეაფარა თავი, მაგრამ მონღოლები აღაპს არა სწყალობდნენ, დაუნდობლად წაუკიდეს ცეცხლი მაჰმადიანთა საღვთო სახლს და ალი ზეცამდე აგარდაო.

სწორედ ზემოხსენებული სუბუდი, სპარსელი ისტორიკოსი „მეჩინეარე ვეფხვს“ რომ აღარებს, სარდლობდა მონღოლთა იმ ლაშქარს, რომელიც მალე საქართველოს საზღვრებს მოადგა, ზენანის ველზე შეეტაკა ლაშა-გიორგის მხედრობას და მწარე მარცხი აგემა.

აქამდე სვიანი „დროშა დავითიანი და გორგასლიანი“, მუდამ გამარჯვებას რომ იხვეჭდა საუკუნეზე მეტხანს, ამჯერად ძლეულ იქნა და პირველი ბზარი გაუხნდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურთავ შერაცხული ქვეყნის ძლევაშისილებას. მერე კი მონღოლები მთელ საქართველოს „მოეფინეს მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად, და არსად იყო ლხინება“...

არ რაჰინს და არცა ზინსა

ქართულ-სპარსული ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობათა ისტორია თავისი ფესვებით საუკუნეთა ხილრმეში ჩამარხულა.

მაგრამ ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველდა ჩვენი წარსულის იმ მონაკვეთში, „ოქროს ხანას“ რომ ვეძახით.

სპარსული პოემების გმირნი იხეხნირად მოიხსენიებიან ქართულ საისტორიო და მხატვრულ ძეგლებში, რომ თავისთავად ჩნდება დასკვნა: ან არსებობდა ფირდიუსისა თუ ნიზამის ქართული ვერსიები, ანდა ქართველი მკითხველი კარგად იცნობდა სპარსულ პოემებს დედანში. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რომ ქართველ ავტორებს ასე თამამად დავითწებონათ მკითხველისათვის უცნობ გმირთა სახელები.

შოთა რუსთველი ავთანდილის გასაჭირს ლაკონურად მიანიშნებდა მკითხველს: „იგი ჭირი არ

უნახავს არ რამის და არცა ვისისა“.

როგორც ცნობილია, „ვისრამიანი“ ძალზე უყვარდათ საქართველოში.

თავის მხრივ, საქართველოსაც მშვენივრად იცნობდნენ ირანში. დიდებულ სპარსელი პოეტი ნიზამი წერდა თამარ მეფის შესახებ: „მან თითისტარი შუბად აქცია“-ო.

იესო ქრისტას დიდება ისმინე!

XVI საუკუნის მიწურულში, კახეთის სამეფოს სტუმრად ჩვეთა ცნობილი სპარსელი პოეტი ფადფურ ლაბიჯანი, გამოქცეული შაჰ-აბასის მიერ დაპყრობილი გილანის დამოუკიდებელი სამთავროდან. იგი სწავლულთა შორისაც სარგებლობდა პატივით და თანამედროვენი უწოდებდნენ „მჭვერმეტყველების ვარდნარის ბუღბულს“.

სპარსელ პოეტს ფრიად პათეტიკური სტრიქონებით შეუქვია კახეთის მეფე ალექსანდრე და მისი სამშობლოც: „საწუთრო აღვისილა ალექსანდრეს დიდგეო. საქართველო მისი წყალობით ისქანდერის (ქ.ი. ალექსანდრე მაკედონელის) შესაფერი ასპარეზია. მის კეთილშობილ ხელისებულს გამარჯვების ხანჯალი უყვრია. მისი სამეფო ძლევაჟმოსილია და აყვავებული“.

არაერთ უცხოელ მოგზაურს შეუქვია ჩემი მთა-ბარი, მაგრამ სპარსელი პოეტი ორიგინალობით გამორჩევა და საქართველოს მარტყვად როდ უდარებს აბსტრაქტულ სამოთხეს, არამედ აგონდება ერამის წალკოტი - ზღაპრული სილამაზის ბაღი იემენში, სამოთხის ამქვეყნიურ ასლად რომ გაუმეწებათ ოღესღაც: „მისი მიწის წინაშე სიტურფის მხრივ დირსება დაუკარგავს თვით ერამის წალკოს“.

მისრში (ქ.ი. ევგვატემი) ერთი იყო ოსებ მშვენიერი (ბიბლიისა და შემდგომში - სპარსული პოეზიის პოპულარული პერსონაჟი), ხოლო საქართველოს

მიწა-წყალზე ჩემი თვალით ასი ოსებ მშვენიერი ვიხილიო.

მაგრამ, მოდი და ნურ გაგიკვირდება, როდესაც სპარსელი პოეტი, რჯულით მაჰმადიანი, რომელიც თავისი წარმომავლობით თვით ალაჰის მოციქულ შუჰამედებს შთამომავლად თვლიდა თავს, მოულოდნელ ხოტბას ასხამს... ქრისტაბუნულ ეკლესიას: „შედი მონასტერში, ძალზე მომხიბლავი რამ არის... ისმინე ეკლესიის ზარების რეკვა, იესო ქრისტეს დიდება ისმინე“.

პარდი აღტაცებისა

შირაზის ხანის სასახლეში დიდი ლხინი გაემართა ირანში ჩასული ინგლისის ელჩის პატივსაცემად. სანადიმო დარბაზს ამშვენებდა ოცი მოიქროვილი სვეტი. ჭერით მოიქროვილი იყო. დარბაზის კედლები საუცხოოდ მოეცხლებოდა მნახველის თვალწინ ცოცხლებოდა რამდენიმე წლის წინათ მომხლარი დაპყრობა ჰორმუზისა, სწორედ შირაზის ხანის სარდლობითა და ინგლისელთა სამედრო ხომალდების შემოქმობით - მისი სამხედრო-პოლიტიკური კარიერის ფრიად თვალსაჩინო ეპიზოდს, ამავე დროს ფრიად მნიშვნელოვან მივლენას რომ წარმოადგენდა შაჰ-აბასის დროინდელი ირანის ცხოვრებაში. ჰორმუზის კუნძულის აღებით ბლო მოეღო პორტუგალიელებს ბატონობას სპარსეთის ყურეში, ხოლო ირანის საგარეო ვაჭრობას საზღვაო გზა გაეხსნა. ამიერიდან, ქვეყნის მთავარი საექსპორტო საქონელი - აბრეშუმი შეეძლოთ გაეტანათ დასავლეთ ევროპაში, სამკურო-ნასაცოცხლოდ გადამტერებული ოსმალეთის გვერდის ავლით.

და ამ გამარჯვების სულისამდგემლი და შეიქმედი იყო შირაზის ქართველი ხანი.

სანადიმო დარბაზში გაშლილ სუფრას უსდნენ ინგლისის ელჩონის წევრები, სუფიანთა ირანის დიდმოხელენი და ყიზილბაში სარდლები, ჰორმუზის ამირები, გავლენიანი ვაჭრები. ნაირნარი აღმოსავლური კერძები და რჩეული სასმელები ვის არ დააყენებდა ლხინის გუნებაზე! სტუმართა თვალს სჭრიდა ოქროსა და ვერცხლის ღანკრები, ფერდ-ფერადი ნიხები და ხალჩიები.



თვით იმამული-ხან უნდობამხოლოდ ლხინის დასასრულს გამოჩნდა. წინ მოუძღოდა მდიდრულად მოკაზმული და აღჭურვილი ოცდაათი ჭაბუკი, მაჯაზე მიბმული სანადიმო მიმინოებით. მას-პინძელი ამაყად მიესალმა სტუმრებს და ინგლისის მეფის სალდვრემელს შესმა ინება.

აღნიშნული ნადიმის აღწერილობა ჩვეთთვის შემოუნახავს ინგლისის ელჩონის წევრს - ოცდათორი წლის ტომას ჰერბერტს. ახალგაზრდა ინგლისელ დიპლომატზე, ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია შირაზის ქართველი ხანის პიროვნებას, მის ძალაუფლებას და ავტორიტეტს, ზღაპრულ სიმდიდრეს და უჩვეულო ხელგამწილობას, ქვეშევრდობით მოწინააღმდეგე სიყვარულსა და გაუპირობი თაყვანისცემას.

ჰერბერტი ვერ მალავს თავის ადრთოვანებას და გვაუწყებს: „ეს კაცი წარმოშობით არის ქართველი, სარწმუნოებით - მაჰმადიანი. იგია ერთ-ერთი ტეტრარქი, რომელიც განაგებს იმპერიას შაჰ-აბასის ხელდასხმით. მისი სამფლობლონი ყოველი მიმართულებით აღწევს თითქმის ოთხას მილს“.

ჰერბერტი დაუნარებლად ჩამოთვლის იმამული-ხან უნდობის ტიტულებს (ზოგი მათგანი უთარგმნია კიდევ ევროპული მითხველისათვის): ერცკერცოვი შირაზისა, სულტანი ლარისა, ლორდი ჰორმუზისა, ქირმანისა, ხუ-

ზისტანისა, ფარსისტანისა და სხვ. პრინცი სპარსეთის ყურისა და იქ მდებარე კუნძულებისა. დიდი ბეგლარბეგი, მეთოური 12 სულტანისა, 50 თასი მხედრისა, მინა შაჰ-აბასისა, მფარველი მამა-მადიანთა, მუსკატი ნეტარებისა და ვარდი აღტაცებისა“.

ინგლისელი დიპლომატის კალამს თვანდალივ ემჩნევა, რომ უკვე უგემია აღმოსავლური კოლორიტი — ვარდი აღტაცებისა! ჰერბერტის გარდა სხვა ავტორებსაც უოქვამთ ქება შირაზის ხანისა, რომელსაც ევროპელები ირანის მეორე მეფეს ეძახდნენ ხოლმე. მათ შორის გამოირჩევიან უნდა დავასახელოთ იტალიელი პიეტრო ვალეა ვალე, ფრანგი ჟან ბატისტ ტავერნიე, გერმანელი ადამ ოლერაუსი, კათოლიკე მისიონერები და... კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი, ლექსად რომ დაევიტოვა იმამყული-ხან უნიღლამის პორტრეტი: „შირაზის ხანს ქებას ვერ იტყვის ბრძენთა ენანი; მდბაბლი, ტბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენიანი; დირსკელთა ღვთისაგან, მითა სცაგს ძაითა ზენანი...“

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე სპარსელმა პოეტმა ორი პოემა მიუძღვნა შირაზის ქართული ხანის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

გვგზ თავიდანვე უნდა გვეთქვას, რომ იმამყული-ხანი დიპლომატიკურ მეგობრად გახლდათ ალავერდი-ხანისა, რომელიც იყო ირანის პირველი ყულარაბის, შაჰ-აბასის სამხედრო რეფორმების ორგანიზატორი. სუფიანთა დიდმა ხელმწიფემ ყიზილბაში ამირების ძალას და გაუღელბას დაუპირისპირა თავისი თოსნობით შექმნილი ყულის ვარი ანუ შაჰის გვარდიას, ძირითადად, ქართველი მხედრებისაგან რომ შედგებოდა და მათი სარდალიც (ყულარაბის), ჩვეულებრივ, ქართველი იყო ხოლმე.

ქალაქ ისპაანში, მდინარე ზნდღერუზე დღემდე შემორჩენილია ალავერდი-ხანის მიერ აგებული ხიდი და თავისი შთაბეჭდილი შესახედლობით დღესაც იქცევის ყურადღებას.

ქალზე ტკბილია და ნაწი

„სპარსთა ენისა სიტკომანი მასურვა მუსიკობანი“, — ამბობდა სახელწოდანი ქართველი მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი, რომელსაც ნიკო ბერძენიშვილმა უწოდა „სპარსულ დამპყრობელთა წი-

ნაღმდეგ ორმოცდათწლეოვანი ბრძოლის მესაჭე“.

თეიმურაზ პირველი დიდად აფხებდა სპარსულ პოეზიას, გატაცებთ კითხულობდა, თარგმნიდა, აქართულებდა, აღმოსავლური ნიმუშის დამოუკიდებელ თხზულებებს ქმნიდა, რითაც გამოხატავდა თავისი თანამედროვეობის ძირითად ლიტერატურულ ტენდენციებს. მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეს, როდენ იყო დავალებული მეფე-პოეტი უკავადი ვეფხისტყაოსნისგან.

„სპარსთა ენისა სიტკობით“ სხვა ქართველი შემოქმედნიც მოხიბულვანი.

ვახტანგ VI წერდა: „ეს ქილილა და დამანა, ბრძენისაგან გამოთქმულები, სპარსთა ენისა სიტკობით დასაქრულ-დამბრულეები.“

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვკითხულობთ: „სპარსული ლექსებშიც ქებულია და ტკბილია სასმენლად“.

ქართველის როგორღა უნდა გაეკვირდეს, როდესაც ირანში ჩასული იტალიელი მოგზაური პიეტრო ვალეა ვალე ასევე მოუხიბლავს აღმოსავლური სამყაროს ერთ-ერთ მოქმედებს — სპარსულ ენასა და პოეზიას. ვალეა ვალეს სიტყვით, სპარსული ძალზე ტკბილია და ნაწი, ქალებთან სასუბროდ და ლექსების სათქმელად გაჩენილია.

სწორედ სპარსული პოეზიის დიდებულმა „შეიდარსკლავედმა“ შთააგონა გოეთეს. თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დიკანის“ შექმნა. გაიმანათობს ბრძენისეკ მიმართავდა შირაზულ პოეტს პაიუხს: არი დასაბამი გაქვს, არც დასასრული — მარადისობის დარად...“

საქოვლოს საკათილდღიოდ

ზურაბ ავალიშვილი სკეპტიკურად უყურებდა XVII-XVIII სს. ქართულ-სპარსულ პოლიტიკურ ურთიერთობათა ასახვას მარტოოდენ ერთი კუთხით — ქრისტიანობისა და მამადიანობის დაპირისპირებით. ამგვარი ტენდენციაც ცალმხრივი და საუკვო არისო. მეტი მისთვის ჩვეული ლაღი სიტყვით დასძენდა: რა ხანია, კბილი მოგაკვეთიაო.

მართლაც, ზურაბ ავალიშვილის არ იყოს, რომელ ჩაგვრაც შეიძლება ლაბარაკი, როდესაც გიორგი XI-ს (ირანში გურგინ-

ხანად იცობდნენ) და მისხარეულ თუ მავალირცხოვანი, მხედრობას ევალეობდა მეამბოხე ბელუჯ-ავღანთა ტომების თარემის აღკვეთა სუფიანთა ირანის ტერიტორიაზე და ყანდაარის პროვინციის სრული დამორჩილება.

მეფე ქართლისა, სპასალარი ირანისა, ბეგლარბეგი ყანდაარისა და ქირმანისა — წარმატებით ასრულებდა დავალებას. ქართული მეფეს მხარს უმჭიდვებდნენ ძმები და მისწულეობი, სუფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე რომ იყვნენ დაწინაურებულნი.

გიორგი XI-მ თავისი მოღვაწეული უშეშრობა მოუხვეჭა სამშობლოს, დაასვენა ომებისაგან, კულტურულ-ეკონომიკური აღმაკვლისა გზაზე დააყენა.

თბილისში სტამბა გაიმართა და, საეკლესიო წიგნებთან ერთად, „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა.

როგორც ამბობენ, ეს იყო „ვერცხლის ხანა“ ქართული ცივილიზაციისა.

გიორგი XI-სა და მისი ერთგული მხედრობის მიერ სუფიანთა ირანის დასაცავად დღევრდ სისხლს ფუჭად არ ჩაუვლია სამშობლოსათვის.

აღმოსავლნი კიდევ ბავრი

ისტორია მწარე წუთებისა და შავბნელი წლების წყებად გვიხანება და ჩვენი წარსულის შეცნობისას, ძალაუბნებურად (წყაროთა წყალობით) ძირითად ყურადღებას ვუთმობთ ყონფლიქტებსა და ომებს. მათი სიხშირე უარყოფითად მოქმედებს ჩვენზე და ღამის დარდილობის კულტურის სფერო.

მიუხედავად ამისა, ქართველ მკვლევართა ვარჯიში, საგულდაგულოდ არის შესწავლილი წარსულ საუკუნეთა ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობანი (მაგრამ აღმოსავლნი ცოტა როდი იქნება).

ეს არც კონიუნქტურა ყოფილა და არც არავის მოუხვევია თავს.

ღღეს, როდესაც უშუალო კონტაქტები მყარდება ჩვენს მიზობელ ირანთან, ნამდვილად ფასდაუღებელი ხდება კვლევა-ძიებაზე. მითიქმული მამართლებებით, რომელიც, ჩვენში გაიმყვებული სიღუბნითა მიუხედავად, ფართო ასპარეზზე უნდა გავიდეს და უანგარი ზრუნვით წახალისდეს, რათა ხელთ ვიგდოთ ღამის სიბნელეში მოღვაწე ცივილიზაციები.

თამაზ ნატროშვილი



დავით
ანბანაშვილი

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

САХАРТВИლი ИДУШИИКОГО ВОЗДУШТА * AIRMINDENT'S SPHERICAL ARCHITECTURE



მცხეთა - მთიანეთი



ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები



თანადი ვეფხე

საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტროს საზღვრო-საგარეო სამსახურის საქმიანობის შედეგები

მშობლებთან დაკავშირებული ეპი-
ზოდები აღბეჭდილი.

მომავალი ფილმის პირობითი
სათარია „სამი ხელმწიფის მო-
სავერი“ და მასში XVI-XVII სა-
უკუნეების ირანულ ხელმწიფეთა
კარის ცხოვრება იქნება ასახული,
რადგან სავარაუდოა, რომ სიაჟი და
და მასა მძა ფაროხი აქტიურ მო-
წაწილებას იღებდნენ ამ პროცე-
სებში.

სხვათაშორის, ბატონმა ზოქამ
იხცა აღნიშნა, რომ ყავშებამდში
— გილანის რაიონში ქართველ-
ნი ცხოვრობენ, მათ ქართული ჩა-
ცემლობა შეუნარჩუნებიათ და
დადესასწაულებს დროს ქართულ
ცეკვებსა და სიმღერებს ასრულე-
ბენ. ჩვენ უსათუოდ გადავიღებთ
ყასამაბადელ ქართველებს, ვფიქ-
რობთ, ეს ეპიზოდი დაასრულებს
ფილმს.

არ ვიცი, როგორ წავიდოდა
ჩვენი საქმე ფილმის სამეცნიერო
კონსულტანტის ბატონ ვია ბერამის
გარეშე. ალბათ, იმის ნახევარსაც
ვერ ვნახავდით, რაც ვნახეთ. მის-
მა კომპლექტურობამ ირანულ
მეცნიერებსაც ბებერი რამ გაახსენა.

— მომავალი ფილმის რეჟი-
სორს უპირველესად „მეადნას-
ლურჯათი“ იცნობს მაყურებელი.

— სახელიც ამ ფილმიდან შე-
მორჩა. ბატონ მიხი ბორაშვილს
რო ათეულზე მეტი ტელეფილმი
აქვს გადაღებული და ახლა კომპა-
ნია „ქართული ტელეფილმის“ დო-
კუმენტური ფილმების განყოფი-
ლებას ხელმძღვანელობს.

— როგორ ფიქრობთ, როდის
დასრულდება ფილმი?

— სცენარი უკვე მზადაა, ირა-
ნელებს უნდა გაუზგავნონ და
თუკი ყველაფერი კარგად იქნება
გადაღებებს აბრილის მეორე ნა-
ხევებში დაიწყებენ. ვფიქრობთ,
ფილმი მეორე კვარტალში დამთ-
ავრდება. ჩვენი სურვილია, რომ
მთ ხელი შეუწყოს ირან-საქართვე-
ლის ურთიერთობის განახლება-
სა და „სულთერი ერთობის“ გან-
მტკიცებას. უთუოდ, იგივე მისიას
შეასრულებს „სიმა-ფილმის“ მი-
ერ საქართველოში გადაღებული
ფილმიც.

ჩვენ კი ისღა დაგვარჩენია, წარ-
მატება ვუსურვოთ ორივე მხარეს
და გზა დაუფლოცოთ სიაჟი-საგე
გურჯის ხელმოყრედ დაბადებას
მშობლიურ საქართველოში.

● სეფიანთა სახელმწიფოს წარ-
მოქმნით ირან-საქართველოს მრავალსაუკუნეო ურთიერთობაში
ახალი ხანა იწყება. ორი მეზობე-
ლი ქვეყნის პოლიტიკური და
კულტურული ურთიერთობა უფ-
რო მრავალფეროვანი ხდება.

თუ XVI საუკუნის პირ-
ველ ნახევარსა და შუა ხანებში
ქართველებს ირანში უმთავრესად
ტყვეთა სახით ხვდებოდნენ, შემე-
დგომში ისინი თანდათან გარკვე-
ული გავლენითაც სარგებლობენ
სეფიანთა კარზე.

იქაც იმპლატარა ქართულმა გენ-
მა. გადავიდა იმ სფეროებში
თესლი უცხო მიწებზე. გადა-
ვიდა და ნაყოფიც გამოიღო. ორი
ქვეყნის კეთილშობილურმა და-
მოკიდებულებამ საშუალება მო-
გვცა, სამზოზე გამოვეცხანა თანა-
მემამულეთა მივიწყებული სახე-
ლები, რათა მომავალმა თაობებმა
იცოდნენ მათ შესახებ.

აქ ერთ-ერთ მათგანზე მოვიტო-
ხრობ.

სეფიანთა დინასტიის სამი
ხელმწიფის შაჰ-თამაზის, ისმა-
ილ II-ისა და შაჰ-აბასის კარზე
მოღვაწეობა ქართული წარმო-
შობის ცნობილი მხატვარი სია-
ჟი-საგე გურჯი. მის დახვეწილ
ოსტატობას მაღალ შეფასებას აძ-
ლევდნენ მისი თანამედროვე ის-
ტორიკოსები.

ისქანდერ მუნშის ცნობილი
შრომა „ქვეყნის დამამშვენიელი
ისტორია აბასისა“ მოგვითხრობს,
რომ იგივე იყო ოსტატ ალი მოსა-
ვერის მოწვევა. როცა ის დახე-
ლოვდა ამ მეცნიერებაში, მისი
აღმომის მოხდენილობამ მიიპყრო
შაჰის ყურადღება, რომელმაც
თვითონ მოჰკიდა ხელი მის სწავ-
ლებას. სიაჟი მნიშვნელოვან
წარმატებას მიაღწია, დიდ ოს-
ტატია და შეუდარებელი მხატვარი
გახდა“.

მისი დაბადება - გარდაცვალების
ზუსტი დრო უცნობია. მიახლო-
ებით კი ეს თარიღი 1540-1616
წლებშია მოქცეული.

ორ მეზობელ ქვეყანას შორის
კულტურული ურთიერთობის და-
მადსტურებელი ფაქტია ის,
რომ კომპანია „ქართულ ტელე-
ფილმსა“ და ირანულ „სიმა-
ფილმს“ შორის გახულ წელს და-
იღო ხელშეკრულება, რომელიც
ითვალისწინებს ქართულ-ირანუ-
ლი დოკუმენტური ტელეფილმი-
ნის შექმნას, როგორც ირანში,
ასევე საქართველოში. არჩევანი
მხატვარ სიაჟი-საგე გურჯაზე შე-
ჩერდა. შევეხდით კონსოცნარის
ბატონ ამირან გვიგინაძეს და ვიხი-
ვეთ, უფრო დაწვრილებით მოეთხ-
რო ირანში ვაზიტსა და ფილმის
შესახებ.

— სცენარისათვის მასალების
შესაგორებლად ირანში სამნი
გავემგზავრეთ: რეჟისორი მიხი
ბორაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე-
ობის ინსტიტუტის დირექტორის
მოადგილე ვია ბერამი და მე-
გულთბილად მივივიდეს, იქ ერთი
კვირა დავეყვით. ვესტუმრეთ თეი-
რანს, ყაზხისს, ისაპანსა და ში-
რანს. შევეხდით; ცნობილ მეცნი-
ერებს, პროფესორებს: მონარ-
ფარს, ზოქას, ადლს და სხვებს.
უნდა ითქვას, რომ ირანელმა მეც-
ნიერებმა ბევრი იცინა საქართვე-
ლოს შესახებ და დიდ მნიშვნე-
ლობას ანიჭებენ ირან-საქართვე-
ლოს ურთიერთობას. მასხინ-
ძეებმა მოგვხატარეს მუხუშემები.
ბიბლიოთეკები, სადც დაიკულია
სიაჟი-საგე გურჯის მოღვაწეობის
ამსახველი მასალები, მათ შორის
იქვსი ნახატი (საერთოდ კი ვა-
რადუობენ, რომ სულ 15 ნახატი
და ხუთი ესკიზი დაიკულია მხოვე-
ლით სხვადასხვა მუხუშემებსა და
კერძო კოლექციებში: სანკტ პე-
ტერბურგში. პარიზში, ამერიკაში,
ინგლისში...).

ირანელი მეცნიერის ბატონ
ზოქას აზრით, სიაჟის ნახატებს
ნათლად ამჩნევა სამშობლოს
მონატრების კვალი, მშობლების
წასულთა სულების გასცენების
მოტივები, ამას ადასტურებს მი-
ნიატურები „შაჰ-ანმედან“, სადაც

სპარსოს



ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის სათავეები საუკუნეთა წყვილადშია ჩაქარგული. უძველესი დროიდან ვრცელდებოდა ამიერკავკასიაში ირანული მითები და ლეგენდები, რომელთა კვალი „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვიხანა, რიტმული სახით გაწყობილიც კი („რომელმან შეკრა ვაჭვითა ბევრასფი გველთა უფალი“...): ამ ურთიერთობის ხელს ვერ უშლიდა ზოგჯერ გართულებული პოლიტიკური ვითარება, განსაკუთრებით საქართველოში ქრისტიანობის (IV ს.), ხოლო ირანში მაჰმადიანობის (VII ს.) გავრცელების შემდგომ ხანაში.

განსაკუთრებული ცხოველყოფილობით გამოირჩევა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა XI-XII საუკუნეებში. ამ დროს დაუმთხვა ირანისა და მთელ მახლობელ აღმოსავლეთში სპარსულენოვანი მწერლობის რენესანსული სულიკვეთებით გამორჩეული ადამიანთა (რუდაქი, ფირდოუსი, ოსორი, გორგანი,

მართლაც, შემოქმედებითა და ათვისებული ქართველი მთარგმნელისა და მკითხველის მიერ სპარსული კლასიკური მწერლობის შედეგები. მათი რიცხვი კი არც თუ მცირე ვახლდათ. როგორც ქართული წყაროების შესწავლით ირკვევა, ნათარგმნი თუ გადმოკეთებული ყოფილა სპარსული საგმირო, სამაჯნურო და დიდაქტიკური ჟანრის თითქმის ყველა ცნობილი თხზულება: ფირდოუსის „შაჰნამე“, ოსორის „ვაძევი და ზრა“ და „შადაპარი და აინულაჰაიათი“, გორგანის „ვისი და რამინი“, ქეიქაუსის „ყაბუს-ნამე“, ნიჰამის „ლილია და მაჯუნეხი“, „ზოსროვი და შირინი“, „ისქანდარნამე“ და მრავალი სხვა ავტორისეული თუ ანონიმური ნაწარმოები.

სამწუხაროდ, მთელი ამ მდიდარი მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა ძეგლმა, „ვისრამიანის“ ქართულმა ვერსიამ მოაღწია. ნათქვამია, ერთმა წვეთმა შეიძლება მთელი ოკეანე აირეკოს, ან მინის ნამსხვრევში მიჯარიანი ღამე დაილაღოსო. XI საუკუნის შუა წლებში ისფაჰანში ფაზრადინ ასად გორგანის მიერ შეთხზული სამაჯნურო პოემის „ვის ო რამინი“ XII საუკუნეში შესრულებული ქართული პროზაული ვარდთქმა ის ჯადოსური წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც აირეკლა მძღობრივდელი ქართული მთარგმნელობითი დიდოსტატობისა და მხატვრული სიტყვის ხელოვნების მიწვევლიმილი მწვერვალები.

„ვისრამიანი“ შესაბამისი მხატვრული სიზუსტით მიჰყვება სპარსულ ლედანს, გადმოაქვს მისი სუ-



ლისკვეთება, არც მარჯვნივ, ბუკარეულლობის ხვეში იხეხება და არც მარცხნივ, თავისუფლებს უფსკრულს უმარჯვებს უფსს. თიოლორთა მაგალითი უფრო ნაოლად წარმოაჩენს სათქმელს. სპარსულ ტექსტში იკითხება: „როხე აზადე რამინ ჰასთ

გოლზარ
ბოვად სარმა ბე ბარგი გოლ
ზიანქარ“
„დიდებული რამინის სხე
ვარდნარია,
ყინვა ვარდის ფურცლისთვის
საზიანქარ“.

ქართულ „ვისრამიანში“ შესატყვისად გვაქვს რიტმითა და ლიტერატურული ფერადობით ლოეზიასთან მიახლოებული პროზაული ფრაზა: „რამინის პირი და ტანი აწ ყვითელ-თეთრი ვარდია და ვარდისა ხისა მაწყენი მიწყით სიცოცხე“.

განრისხებული ვისი მიმართავს რამინს:
„ბერუნ როუთი ბეპარ რაჰი
ქეზაჰი“
„გადი გარეთ, რომელი გზითაც
გესურს“...



ნიჰამი და სხვ.) და ქართული საერთო მწერლობის ჩასახვა-აღორძინება (მსხე ზონელი, ჩახრუხაძე, შაველი, რუსთაველი და სხვ.) ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ყურადღების ღირსია, რომ საქრისტიანო აღმოსავლეთში საშუალო საუკუნეებში ქართველებს ვარდა არც ერთს ხალხს საერთო პოეზია არ ჰქონია. არც ასურელებს, არც სომხებს, არც ბიზანტიელებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ. ეს გარემოება, რაც უნდა იყოს, რა სკლემეწყოები მიზრუბდაც უნდა გამოეყენებოთ მის ასახსნელად, მაინც თავისთავად ქართული ერის ძლიერის მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების დამამტკიცებელია“.



ენის სივსკოვან

ქართულში: „აწ იქა წამავდი, რომელსაცა გზასა გწვდიან“

ამ მხატვრული სიზუსტის წყალობით მიხერხდა ქართული ტექსტის დამახინჯებული ადგილების სწორება სპარსულის დახმარებით, ცხადია, თუ ამ სწორებას მხარს უჭერდა რომელიმე ქართული ხელნაწერი. ასევე და კიდევ უფრო მეტად დაგვიხმარა „ვისრამიანი“ სპარსული დედნის აკადემიური ტექსტის დადგენაში, სწორი ვარიანტების შერჩევაში, ჩანართების გამოვლენაში. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველი ირანისტების მიერ დადგენილი „ვის ორამინის“ კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნდა თეირანში (1970).

ქართულ საერო მწერლობის ოქროს ხანას ისტორიულმა ქართველმა არა მარტო ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები წარსტაცა და გაუქრო, არამედ სამი საუკუნის დუმილის ეპოქა მოაყოლა. მხოლოდ XVI საუკუნის გარიჟრაჟიდან მიითქვა ხელი მტერდაცემულმა მწერლობამ. და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ დანის ქვაბთა ჩედღზე მიწერილ თუ ხელნაწერთა სახით ჩვენამდე მოღწეულ მისხამდ ნიმუშთა შორის, რომელნიც საფუძვლად დაედო ქართული მწერლობის აღორძინებას, „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით ვხვდებით ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ახალ ქართულ ვერსიებს „როსტომიანის“ სახელწოდებით (აქ შედის მრავალი როგორც პოეტური, ისე პროზაული ვერსია, სხვადასხვა მთარგმნელთა ნახელავი; შექმნის ისტორიკო თოქმის სამი საუკუნე გაგრძელდა). თუ რას წარმოადგენდნენ ისინი ქართველი მკითხველისათვის, კარგად ჩანს ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერად: „პოი, მკითხველნო, ამ წიგნს ნუ დასცინებთ! თუმცა ვინ გულისხმობდა წაიკითხოთ, ჰპოთმცა ამის შინა ძვილი ზნეობა და ზოგიად ჩვეულება ძეგლთა ქართულია და გმირულნი მოთხრობანი, რომოლთაჲ ძვილნი ქართველნი შთამომავლობათა ანაზად დაუღებლიან და ამით მათ შორის სიმხრეიკსა და აზოვანსა სულსა განაღვიძებ-

დინ და სასიბრძნოცა მრავალი აიკება“.

XVII საუკუნე განსაკუთრებული მონაკვეთია ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში. ამ მონაკვეთზე მოდის ქართულ-სპარსული პოლიტიკური დაპირისპირების მწვერვალი და ეს მონაკვეთი გამოირჩევა სპარსულიდან ნათარგმნი თუ გადმოკეთებული ძეგლების სიუხვით. ორივე მიმენტი უბედური მეფის თეიმურაზ პირველის სახელს უკავშირდება. მან შეესწირა ირანთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას დედა-ქეთევან წამებული, შვილები, საკუთარი სიცოცხლე; როდესაც ირანში ტყვედ მყოფმა უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე, მაგრამ მასვე ეკუთვნის სიტყვები: „სპარ-



სთა ენისა სიტკობიან მასურეა შეიკობანი“. მან თარგმნა თუ გადმოიღო ისეთი ცნობილი სპარსული სიუჟეტები, როგორიცაა „იოსებზილიხანიანი“, „ლეილამაჯუნეხანიანი“, „შამიფარვანიანი“, „კარდღულელიანი“...

ამავე პერიოდში, იქნებ ცოტა უფრო ადრე, შეიქმნა ანონიმური ქართული „იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსია, რომელმაც ჩვენამდე ერთადერთი, შესანიშნავი მინიატურებით დამშვენებული ნუსხის სახით მოაღწია. თეიმურაზის პოლიტიკურმა და ლიტერატურულმა თანამოაზრემ ნოდარ ციციშვილმა რამდენიმე სპარსულ წყაროს მიხედვით შექმნა საინტერესო ვერსია „ბარამჯუნიანი“ („შეიღო მითიე“).

XVIII საუკუნეში ეს გზა წარმატებით გააგრძელა მთორე მუჟე-პოეტმა ვახტანგ მიექვსემ. მან

არა მარტო თვითონ მთელი რივი სპარსული მხატვრული და მეცნიერული ძეგლები („ყაბუსნამე“ ანუ „ამირნასარიანი“, „ქილილა და დამანა“, ასტროლოგიური ტრაქტატი და სხვ.), არამედ შექმნა მთელი მთარგმნელობითი სკოლა. მისი თხოვნით სულხან-საბა ორბელიანმა ლიტერატურული სხვა მისცა „ქილილა და დამანა“ ბუნკარედულ თარგმანს. მისი დაჯვარებით ქართულად ითარგმნა იმხანად ძალზე პოპულარული სპარსული ხალხური დღასთენები (სათაგედასველი რომანები); „საბათინარამე“, „ბარამჯუნადამიანი“, „ხოსროვმირიანიანი“, „მირიანი“ და სხვ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მათ ირანეზს მიემატა დავით ორბელიანის მიერ თარგმნილი სქელტანისანი „ყარამიანიანი“, აგრეთვე „სელიანიანი“, „ვარშაიანი“, „სირინოზიანი“ (ამ უკანასკნელთა სპარსული წყაროები ჯერ კიდევ დასადგენია).

როგორც იოსებ გრიშაშვილის ცნობილი წიგნიდან ირკვევა, სწორედ ეს თხზულებები, ქართულ ორიგინალურ ძეგლებთან ერთად, წარმოადგენენ ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქმის უსყვარლეს საკითხავ წიგნებს.

XIX საუკუნის ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ დააშრო ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის წყარო. მისი ხელახალი აღორძინება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას უკავშირდება. ქართული ირანისტუბი წარმატებით აგრძელებენ სახელოვან წინაპართა მიერ საფუძვლად ჩაყრილ მღვიმე ტრადიციებს.

...ოცდაათიან წლებში თეირანის ბანკში მუშაობდა ქართველი ეკონომისტი აბაჯო ჭკობიძე. ექვსი წლის მანძილზე, მან არა მარტო შეისწავლა სპარსული, არამედ სპარსთა ენისა სიტკობი პოეზიასაც აზიარა. მან წარმატებით თარგმნა ფირდოუსი, ნიზამი, ზაიამი, შაჟეხი, აი ომარ ზაიამის ერთ-ერთი რობაის მისეული თარგმანი:

„ორი დღის თავშესანანი თუ გაქვს ერთი პური, ექვლობედილი დოქში წყალი (იგი, საამური, რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენვე მიცრუს, ან თვითონ შენ რადად გინდა სხვისი სამსახური.

ალექსანდრე გვასარიანი
პაპადმიძოსი



რაზომცა სწერები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.
 ძალი არ შეინდა ტყვე-ქმნილსა მე მაგიისა თნებისა;
 აწ წასვლა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა,
 სადა გინდ ვიყო, რა მეამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!

არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
 არ გარდავა გარღვევალად მომავალი საქმე ზენა;
 წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,
 არვის ძალ-უც ზორციელსა განგებისა გარდავლენა.

რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
 გარღამხლეს და შემოვიქციე, აღარ დამჩნეს გული ავლად;
 თქვენვე გზაზე მზიარული ღიღებით და დაჯულ-მრავლად;
 მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.

მეფეო, ესე თათბირი, მომკალე, ვინ დამიწუნოს!
 მეფეო, ნუთუ წასვლამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოს?
 ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძიბუნოსა,
 პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალო მას საუკუნოსა.

არ-დავიწყებო მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
 ვკებობ კაცსა აუგინას, ცრუსა და ღალატინას!
 ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა!
 რა უარეა მამაცსა სულ-ღიღსა, წასვლა-გეინას!

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭვლესა,
 შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭვლესა!
 კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მხმეჭვლესა?
 სჯობს სახელისა მოხვეჭვა ყოველსა მოსახვეჭვლესა!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი
 მიხვან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულივანი;
 ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი,
 სჯობს სიცოცხლესა ნამძახხსა სიკვდილი სახელოვანი!

შოთა რუსთაველი

ანდერძი ავთანდილისა როსტომისა მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა

დაჯდა წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად;
 „ჰე, მეფეო, გაეიპარე ძებნად ჩემგან საძიბურისად;
 ვერ დავედგები შეუყურელად ჩემთა ცეცხლთა მომღებრისად;
 შემინდევ და წამატანე მოწყალეზა ღმრთაებრისად.


ვიცი, ბოლოდ არ დამივმობ ამა ჩემსა გაზრახულსა,
 კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
 მე სიტყვასა ერთსა გაადრებ, ვით ეყვანნი, ამას ქლერენ,
 „სიცრუე და ორპირობა ავნებს ზორცსა, მერე სულსა“.

რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადლობისა,
 მე რად გაეწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი მძობისა?!
 არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
 მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობთა წყობისა.

წაიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რავგარ წერენ?
 ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
 „სიყვარული ავგამდლებს“, ვით ეყვანნი, ამას ქლერენ,
 შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

ვინ დამბადა, შემღებაცა მანვე მომცა ძლეველ მტერთად;
 ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
 ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ვის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
 იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ახს, ახსა ერთად.

რაცა ღმერთსა არა სწაღდეს, არა საქმე არ იქმნების.
 მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭკნების;
 თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოოდ რადმე ეშვდინების!
 მე ვით გაგსილო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთენების!





საქართველოში რეაზის წელიწადია ინიან „შაჰ-ნამე“ დასასრული

კურთხეულმც არის უფალი, ყოველის მკვრობელი ზესია!
შე ხოსროვ თურმანის ქემან ამბავი ვოვე ესია:
უცხო, ტურფა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია,
და პატრონმან ჩემმან მობრძანა: „ქართულად წერე ესია“.
სპანდიარ ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების,
მტერი ორგული ყოველი შეფუხამც დაეღონების!
ცხრაას სამოცდა თორმეტსა ლექსს ხოსროვ მოვეგონების!
და ვინც ნახით, ჩემსა ლიცვას ნურავინ დაეღონების!
სხვაც მეური აკლდა ამ წიგნსა პირველთა თარგმანულთაგანს..
პატრონი ჩემი სვიმონ სვიანმცა არის სულთაგან!
მათსამცა ძეთა მიხედვების, რომე შიორჭმინ მტერთაგან,
და ამთა მათი წყალობა ნუ მოემღების სმელთაგან!

მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად.

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვეკვლე დარიაბად, ვერ დამიტორის შშობელმან,
ვეღარ შემსუღრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, —
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მშობელმან.

მაქქს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები.
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლეცა დასაღებლად.
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაკებლად:
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაკებლად!
შენგან კიდევ არეინ მივის ციცხლთა ცხელთა დამავსებლად.

ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევიც,
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი ვეკადრებს, არ გეთხევიც,
არას არგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევიც,
შემინდევ და შემოედრე, მეკადრას რაღა გარდმეხდევიც!

გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონსა ჩემსა რჩეულსა,
ნაკად აქვს ჭირი სამიბოდ ამ წელიწადსა წლეულსა, —
ნუგეშინის-ეც წყალობით, ჩემგან წყალობა-ჩვეულსა,
ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა.

გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა.
აჰა, გამზრდელი, მოგზოფერი, წყავი გულითა ხელითა.
ნუ სჭმუნათო ჩემთვის შოფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა,
სუფევიითმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალველითა!“

მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერთა,
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერთა,
შენ დაგამეტებს ვერავინ მსახურებითა ვერთა“.
მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერთა.

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ ერთ-ერთი უკვე გამოცემული ნაწარმოებია მსოფლიო ლიტერატურაში. მას ქართულ ლიტერატურულ წრეებში იცნობდნენ თარგმანითა თუ სპარსული დედნით.

ზემოთ მოტანილი სტრიქონები „შაჰ-ნამეს“ დასასრულდა ანაოლელებული და ხოსრო თურმანიძეს გაუღეკსავს.

ჯერ კიდევ რეაზის წლის წინათ, მე-12 საუკუნეთა — ჩვენს კლასიკურ ხანაში, მაშინ, როცა აღიწერა „ვეფხისტყაოსანი“, პროზით უთარგმნა იგი. წერტილები დაუგვამთ იქ, სადაც ამბავი თავდება როსტომ გმირის სიკვდილის შესახებ. ამიტომაც დარქმევია „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიას „როსტომიანი“.

„როსტომიანის“ ლექსით ვერსია მთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებშია შემუშავებული. ჩვენ ვიცით ორი ქართველი პოეტი, რომელთაც ამ უკვლავი ნაწარმოების გალექსვაზე უმუშავებია. ესენია სერაპიონ სოვრატის-ძე საბაშვილი და ხოსრო თურმანიძე. ერთი მათგანი მე-15, მე-16 საუკუნეთა მიჯნაზე, ხილო მეორე — მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა.

ქართულ ენაზე მრავალი მეცნიერული კრებული და ნარკვევია გამოქვეყნებული „შაჰ-ნამეს“ შესახებ.

გალექსილი „როსტომიანი“ წლების წინათ დაამუშავეს ჩვენმა მეცნიერებმა პავლე ინგოროვამ, კონენდი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, ოუსტინე აბულაძემ... პროზაულ ვარიანტზე იმუშავა ალექსანდრე ბარამიძემ.

ერთი სიტყვით, ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ანუ მეფეთა წიგნი, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საქართველოში.

რეკავხ 0656093020

ბეჭედი

ზაფხულის დილაა. მზე ჯერ არ ამოსულა. სოფლის წყაროსთან ხელკოკიანი ქალები და ნახირში ვასარეკი ძროხები დგანან. ძროხები გულგრილად იციხნებიან, ქალები მილიდან ნეკის სიმსხოდ ჩამომავალ წყალს მისწერებიან.

მოდის ერთი შუახნის ქალიც — გამზდარი, გასწეულბული, შავყვითელი. პატარა, პირწამტკვრეულ სურას ლოდზე მიაყუდებს:

— დილა მშვიდობისა, ქალებო! — იტყვის გაგრძელებით, ლოდზე დაჯდება და მოსახვევის ბოლოებს ჩამოიშლის, თითქოს დასცნობოდეს.

— მშვიდობა მოგცეს, გაგიმარჯოს. როგორა ხარ, ანანო! — მიუგებენ ქალები.

— კარგად, ვენაცვალებ, კარგად. ქალი მოსახვევს უკან გადააწეკვს და შეჭდარავებულ თმას დამჭკნარი ხელისგულებით ისწორებს საფოქლებთან.

— მოდი, შენ აავსე, ანანო!
— არა, რასა ბრძანებთ, ქა, მე სად მერქარება, შინ ვინა მყავს. ბაჭი იყო და გათენებისასვე წავიღია.

— იყო, ქალო?

— იყო, დედა ენაცვალოს. გასუქებულია, დავაჟაკებული, ყვლეგესებული. აი, ბეჭები! ხალათში არ ეტევა. ცოტა ხანიც, დედი, ცოტა ხანიც და მერე სულ შენთან ექნებოი. სახლს დავადგათ, წითელი ექმტით გადავხუროთ, ეზოც კარგად შემოვიღობოთ. მხრებამდე ვერც კი ვწვდები, დედა ენაცვალოს იმასა. დავსვა, ფეხები დავაბანინე. ბროლი, ქალო, ბროლი! მამაჩემსა ჰქონდა სწორედ ევითი ფეხები. ჩავუხალე კვერცხები, სულ ახალთახალი კვერცხები, ერთბოში, იმისთვისა მაქვს შენახული საკუთარად. შენაო, დედიო, შენ უნდა სჭამოი, მე დამიღვა. თითონ მომიტეხა პურიც, მე არა მშაო. მე შენ შემშოდის ქვეყნიდან ხომ არ გვინივარ მოსულიო. გცინებოდა, სულ თეთრი სიკეთის ვარდები გადასდიოდა სახეზე. დადის, დადის, მალ-მალე გადაისეკმ ხელს ქოჩორზე. დარჩი-მეთქი, დედა გენაცვალოს. შეილო, ჩავეჭიდეს ხელი. აი, მაჯები, ორ ხრელს ძლივს შემოვიწვდენ, ქალო. არაო, დედიო, არ წავიდე. არ შეიძლებაო. ევერე კი არ არის, იქაც დიდა საქმე მამბარაო. ძალით გამაშვებინა ხელი იმ ჯიუტმა. გამაშვებინა ხელი და წავიდა სიცალი-

სიცალიო. ნეტაე შენს დედასაო.
იტყვიაო.

ქალები ბედავენ და ბოლომდე ვერ გაუბედათ მისკენ გახედვა. მიღთან რომ ჩაცნუქულა და წყალს სურას უმარჯვეებს, ის ჩაპტებულებს შემღვრეულ გუბებს.

— ვაი, შე საციოდაო, შენა.

ავსებს სურას, ტლოს საციოს გაუკეთებს, დაიწვენს მხარზე მადის ჩუმი დღუდნით:

— შე საციოდაო, შე გამწარებულო.

ერთი მიდიან, მეორენი მიდიან.

ახალმოსულები რიდიო, შორი-შორ უვლიან ქვაზე ჩამომჯდარ ანანოს და შემინებული უფურებენ გვერდიდან.

— როგორა ხარ, ანანო, როგორ! — გამოიერევა გამბედავი ვინე.

— კარგად, ქალებო, კარგად. — იყო შენი ბიჭი?

— იყო, დედა ენაცვალოს, იყო. — ისწორებს და ისწორებს შეჭდარავებულ თმას ანანო. — იყო და ისევ წავიდა. მალე სულ ერთად ეკიქნებოთ. მოვალო და სულ ერთად ეკიქნებოთ. სახლს დავადგათო. წითელი ექმტით გადავხუროთ. გასუქებულია, დავაჟაკებულია. აი, მხარ-ბეჭი, ხალათში არ ეტევა. ნეტაე შენს დედასო, იტყვი.

— მიდა, აავსე, შენი ჯერია, ქალო, ანანო!

მინისტრის გარეშე

‘ოქმემ თქვა, პირშიშველამა,
სიბნე გავიარენ კლდისანი.
ძოვინადირენ, დავლახენ,
ბილიკიო ჭიუხისანი.
შამამხედეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხეებისანი,
ჯიხესა თოფ დავკარ ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.
შავვარდი ვეფხვის ნაწილსა,
ღრონ იყენენ შუალმისანი,
ვეფხვი რო წამამიფრინდა,
თვალნი მარისხნა ხთისანი.

შაიბნეს ვეფხვი, მოყმეო,
მამინ ღამინეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრიონეს,
შტონ დაილენეს ტყისანი,
ღრო აღარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გართენა კალთანი,



— თქვენ აავსეთ, გენაცვალეთ, თქვენ აავსეთ. მე სად მენჭარება. ბიჭი თუ მოვა, სადამომღე არ მოვა. თქვენ აავსეთ, კეთილებო, კაცები ველოდებთან შინა.

ქალები კოკებს და სურებს აესებენ, შეწუხებულნი უძვევერ გვერდს ანანოს და მიდიან და მიდღუნებენ:

— შე საწყვლო! შე საცოდავო!
— მაგის ქმარმა არ გაიხაროს მაგის ცოლითა!

— დედის გულის გამჩენი! დედის გულისა!

— აავსეთ, გენაცვალეთ, თქვენ აავსეთ. მე ვერ არ მენჭარება. ვიჯღები აქ, დავიწვი სიციხით შინა, — ყველას უთმობს ანანო და თან ისწორებს და ისწორებს თმას-შუბლთან, საფეთქლებთან, ხანდახან საკინძესთანაც დაინიავებს ხელს.

ქალები კი მიდიან და მიდიან, ყველა ანანოზე მილაპარაკობს.

— ამას წინათ ექიმთან ვნახე, ქალო. ჩვენ ჭკუაზე გადასული გვეგონია და იცო რას ეუბნებოდა ექიმსა? ძილის წამალი მომეცა, ძილის წამალი მომეცა, თორემ აღარ მეძინება და ვიღუპებით. ტერიოდა, სულ თხილის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა.

— დედის გულის გამჩენი, დედის გულის გამჩენი უნდა დაიწვას ქვეყანაზედა.

— ეეჰ!



ჯაჭვისა ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
ღრონ იყენეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადაჰკიდა,
ჩამააწითნა ქვისანი.
თავად კლდის თავზე შამაწვა
მოყმე სულამამდინარი,
ქვიშას მაჰკებავს წითლად,
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი.
უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირის ისარნი.

იარებლივ დედაი
ტირილით თვალცრემლიანი,
ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
ვაჯავრებულდი, ტიალი,
ჩემს შვილს — ხმლით,
იმას — ტოტითა

დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვლა ჭკვიანი,
მით დაუხოცავ ერთოთი,
არ დარჩენ სირცხვილიანნი.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
შვილო, არ მახკვედი, შენ გძინავ.
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეგ შენი ჯაჭვის კალთები
ტილიმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაიცივლა.
არც იმან მოგცა მეტი ღრო,
აღარც შენ დააცალია,
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტები,
ხმალმა დაუწუნა ძვალა.
მაგის მეტეს აღარ გიტვირებ,
შენ არ ხარ სატირიალია.
მშვილობით, ჯვარი გეწეროს,

ვეეც სამარის კარია,
ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე,
ვეფხვებთან მეომარია.

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოლის მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეთ აჰყრის რკინასა,
ხან კილენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდეს,
გამაეღვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდელიდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირიისა.
წაივდი, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც უთხრა ჩემის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნებო
უსწავლოდ ხმლით დაჭრილისა!

საქართველო საპროფესიონალი სპორტულ სარბიელზე



სამხედრო-ფიზიკური მომზადების სამსახურში ზემოთ ნახსენებ ჯიშინაძეს და ფრიკაობასთან ერთად ლელო — ბურთი იყო ჩაყენებული, ჯერ კიდევ წარმართული ხანები რომ იღებდნენ სათავეს (იგი დღეს გაერცხლებული რაგბის ორეულია). ასევე, ცხენოსნური სპორტი — დიდი სხვადასხვა მანძილზე სხვადასხვა პირობებში, ციკლო ფერდობებზე დაშვებითაც; ჩოგბურთი (მხედართა ბურთობა ჩოგბურთი), ისინი — ცხენოსნობისა და შუბის ტყორცის თავისებური სინთეზი, ყაბახი-გაჭვინებული ცხენებიდან ისრის სროლა მაღალ ანძაზე შემოდებულ საგანზე, მხედრული თამაშობები — თარი, მოქნევა, ჩეხვა, მკერდობა (სხვათა შორის, დიდი ქართველი განმან-

კახი ასათიანი შოთა ასვლაძიანი

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც უძველესი დროიდან დირსეული წვლილი შეჰქონდათ და შეაქვეთ მსოფლიო კულტურისა და კერძოდ, სპორტული კულტურის განვითარებაში.

ქართული სპორტის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ქართველთათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მასობრივი სპორტის ეროვნული სახეობა ქართული ჭიდაობა — ადგირილია ჯერ კიდევ 4000 წლის წინათ შექმნილ საგმირო ხალხურ ელემენტში „ამირანიანი“ (ამირანი აღმოსავლური ვილგამეშისა და ანტიკური პრიოტეს ქართული პროტოტიპია).

ქართველთა ტომებმა, რომლებსაც უკვე 2500 წლის წინათ მონათმფლობელური სახელმწიფო გააჩნდათ, სპორტი თავიდანვე ჩააყენეს ქვეყნის თავდაცვის, ადამიანთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების სამსახურში. „ეს იყო უმაპცესი ხალხი, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონიათ თავისი ლაშქრობის დროს“, — აცნობებდა ცივილიზებულ კამეაროს ბერძენი მემატიანე ქსენოფონტი 2400 წლის წინათ. იმავე პერიოდის ბერძენი მოღვაწე

კი დასძენს, რომ ქართველები გატაცებული არიან თამაშობებით და ამას დიდ ბედნიერებად თვლიანო. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ნაწარმოებებში ხაზგასმით აღინიშნება საქართველოში დანერგილი და გავრცელებული სპორტის სახეობების პოპულარობა. პირველი საუკუნის რომაელმა იმპერატორმა პომპეუსმა თავისი ლეგიონების თანდასწრებით საგანგებოდ მოაწყო ქართული (ხევსურული) ფარიკაობის სანერგებელი შეჯიბრება. „დამოსნა ისინი (ხევსურები, ავტ.), პომპე-



ილელის სულხან-საბა ორბელიანის ენციკლოპედიური ლექსიკონი ვგებულობთ, რომ საქართველოში საბრძოლო და სპორტული ისრების 20-ზე მეტი სახეობა არსებობდა; მუშაობა, თოკზე სიარული, ნადირობა, ნინბოსნობა, აუარება მოძრავი თამაშობანი, რომელნიც ქართველთა ბრძოლისა და შრომის პროცესებს ასახავდნენ (მაგალითად, „ლაზტობა“ ქართველთა მიერ ციხე-სიმაგრის დაცვის მიზტაციას წარმოადგენდა), სამაგიდო თამაშობანი — ჭადრაკი, განჯაფი, ნარდი, ყუმარი და სხვანი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მისე ზონელის „ამირან-დარეჯანიანი“ და სხვა ნაწარმოებები მიგვანიშნებენ, რომ საქართველოში დრო და დრო იმართებოდა შეჯიბრებები, რომელთა პროგრამაშიც ზემოხსენებული სპორტული შედიოდა. ცალკეულ სპორტულ მრავალჭიდებს შორის კი გამოირჩეოდა ე. წ. „ქართული ორჭიდა“, რომელიც ნადირობით ან ყაბახით იწყებოდა და ჩოგბურთით მთავრდებოდა. ორჭიდი ცხენის მარბია, გაჭვინებული ცხენიდან ისრის

იმ რომაელთა შესამოსლებითა და ფრიად სწლი სიმხნე და მამაცობანი მათნი“, გვამცნობს ქართველი მემატიანე. 138 წელს კი ქართველმა გოლიათმა მეფემ ფარსმან მეორემ თავის 200 მხლებელთან ერთად რომაელებს ქართული სამხედრო თამაშობები უჩვენა, რამაც, როგორც რომაელი ისტორიკოსი გვამცნობს, იმდენად განაცვიფრა რომის იმპერატორი, რომ მისი ბრძანებით, რომში ცხენზე მხედრებულ ქართველი მეფის ქანდაკებაც დაიდგა. საქართველოში მოსახლეობის





ჯგუფმა (7 კაცი) საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციამ, პროფესორ ალექსანდრე დიდუბაძის ხელმძღვანელობით. ეს ორი ასევე საფუძვლად დაედო საბჭოეთის ალპინისტების სპორტის განვითარების სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ეს ორი ასევე საფუძვლად დაედო საბჭოეთის ალპინისტების სპორტის განვითარების სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ქართული სპორტის განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელ-

ლი გახდა სახელგანთქმული კიდავე ვახტანგ ბალაძე. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიიპოვეს ტყეისმსროლელმა ნინო სალუქვაძემ 6-ჯერ, აკრობატებმა ინგა ვიორგობიანი და ნატალია ანისიმოვა, თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ლევან თვიაშვილმა, მოჭადრაკეებმა ნინა გაფრინდაშვილმა და მია ჩიბურდანიძემ 5-5-ჯერ, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავემ რომან ბურუაძემ, თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ლერი ხაბელოვა 4-4-ჯერ, სამგზის ჩემპიონები გახდნენ რუსუდან ზოფერია (ბატუტი), ტარიელ ფლენტი (სტენდი), როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა) და სხვა.

საქართველოს წარგზავნილებმა მსოფლიო ჩემპიონატებში, სპორტის 28 სახეობაში მიიპოვეს 290 საპრიზო ადგილი. მათ შორის 186 ოქრო, 76 ვერცხლის და 78 ბრინჯაოს მედალი. მსოფლიო თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს 60-ჯერ.

ყურადღაღება ის ფაქტი, რომ საქართველოს მოჭიდავეებს (თიხვი სახეობაში) საერთო ჯამში მიიპოვებული აქვთ ურთ მესამეზე მეტი (129) საპრიზო ადგილები (პირველი — 167, მეორე — 76 და მესამე — 80). არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა 80 წლის მანძილზე შეინარჩუნეს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი, ზოლო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე სსრ კავშირის ნაკრები გუნდებს შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო ექვსმა ქალმა, რომელთა შორის უდიდეს წარმატებას მიაღწია ნონა გაფრინდაშვილმა (თერთმეტჯერ, პირველი ადგილი) და მია ჩიბურდანიძემ (ექვსჯერ პირველი ადგილი).



საყრდენი პირობები შეიქმნა 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველომ დაიწყო აღდგენის მიზნით. ფიზიკური აღზრდა, როგორც სასწავლო საგანი, დაინერგა დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის ყველა სკოლაში, უმაღლესი სასწავლებელში და პირველ რიგში, ახლადშექმნილ თბილისის უნივერსიტეტში.

1918 წლის 25 აგვისტოს დაფუძნდა ქართული ტანვარჯიშული საზოგადოება „შეგარდნი“, რომელიც ფაქტურად სათავეში ჩაუდგა საქართველოს სპორტულ ცხოვრებას.

საბჭოურ პერიოდში საქართველოს სპორტსმენებიდან მსოფლიო ჩემპიონატებში პირველად (1946 წ.) მალონებმა მიიღეს მონაწილეობა და მათ ორი საპრიზო (მე-2 და მე-3) ადგილი მიიპოვეს, ზოლო პირველი ოქროს მედალი 1953 წელს წილად ზდა ბერძნულ-რომაული სტილის საშუალო წონის ლეგენდარულ მოჭიდავეს გივი კარტიოზას, რომელმაც მომდევნო ჩემპიონატებში (1955-1958 წწ.) და მსოფლიო თასის გათამაშებაში (1956 წ.) ოქროს მედალები მიიპოვა. ასევე ოქროს მედალის მფლობე-



ტორცნა, შუბისა და ხმლის ნმარება ახლოვებდა მომავალ მებრძოლს. საქართველო რომ მრავალსაუკუნოვანი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა, ამით აიხსნება უთუოდ ჩვენი სპორტსმენების მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სარბიელზე მოპოვებული დიდი წარმატებები. მწვანეღობის ფაშსაც კი, როცა მტერი ჩვენს მიწა-წყალს აოხრებდა და იკლებდა, ქართველი ხალხი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის ფიზიკურ წვრთნას, რადგან იცოდა, რომ მხოლოდ მკლავმავარ და მტლისმუხლა ვაჟაკებს შეეძლოთ სამშობლოს დაცვა, მრავალრიცხოვანი მტრების მოგვრება.

ქართული სპორტის განვითარება რამდენადმე შეფერხდა რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს საპროტექციო ფაქტობრივი დაპყრობის შემდეგ. დაიწყო იტალიური უკუღმართობის ზრდამ და ქართული კოლტორისადმი მეთის რუსეთის ავილიობრივი სატრამპების უდიდესმა დამოკიდებულებამ ეროვნული სპორტიც ჩაკლა, მაგრამ გასულ დროსაუკუნის შუა წლებიდან დაწყებული კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო სპორტის საერთაშორისო სახეობების — ტანვარჯიშის, ჭიდაობის, მალონობის, ფეხბურთის, ველოსპორტისა და სხვათა განვითარებას.

1923 წლის 28 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ დააარსა (18 კაცი) პროფესორ ვიორგინიკოლაძის ხელმძღვანელობით მომწიფო მისობრივი ასოლა ევროპის ობორთ მწიერალოზი — მყინვარწიორზე. ამ ასოლის ზუსტად კვირის თავზე მყინვარწიერი დალაშქრა მთაველელთა კიდეე ერთმა

წაუკითხეთ კატარებს

სერგო კლდიაშვილი

იბავი

ლომი და სარამი

ლომი ორ ხარს თავს დაესხა, მაგრამ ხარები მეგობრულად შეერთდნენ, რქენა დაუწყეს და მოიგერიეს.

მაშინ ლომმა ხერხს მიმართა და ერთ ხარს უთხრა:

— თუ მეგობარს მოშორდები, შენ არაფერს გავნებო.

ხარმა დაუჯერა და მეგობარს მოშორდა.

ამით ისარგებლა ლომმა, ჯერ ერთი ხარი დაგლიჯა და შემდეგ მეორე.



ბიორბი ქუჩიშვილი

მულამ, ჩემო სანატრელო, საყვარელო ბები: დაგკოცნი და დამიკოცნე ყველა ნაცნობები. ბები, ჩემო ტკბილო ბები, აგრემც გენაცვლები, მე ცალკე გამომიგზავნე თეთრი ჩურჩხელები, სხვა ხილიც არ დაივიწყო კომში, ვაშლი, მსხლები, ჩამიჩი და ლედვის ჩირი, თხილი და კაკლები.

ილია სისხარულია

ცეკვა

აგერ ვაკე მინდორია, ხეები ღვას ირველიე ჯვარად, წრე შეუკრავთ პაწაწინებს, წრეში მჭკრივად ჩამომდგარან, ისმის ტაში, მწყობრი ტაში, ტრიალებენ, როგორც ჯვარა, დილი მღერის „ვათამაშებ ამ პატარას, იმ პატარას, იმ პატარას, ამ პატარას!“ გამოუხტა ოთარიკო და ქართული დაუარა: ფეხებს ისე ათამაშებს, ბალახს არც კი დააკარა! მზე ხათუნა მასთან ცეკვავს გადაქცნენ ნაჰკვარად: დილი მღერის „ვათამაშებ ამ პატარას, იმ პატარას, იმ პატარას, ამ პატარას!“

იოსებ ბრიჯაშვილი

ბულიკო

პაწაწინა გულიკო საით მიჩქარება? გსურს პირველმა შეაღო სასწავლებლის კარები! თმებიც დაევიარცხნია, გადავიცვამს ახლები, მიხვალ, მიაბაკუნებ ვოკონების თანხლებით. დღეს პირველად გიჭირავს რვეული და წიგნები... გაიზრდები გულიკო, კარგი ქალი იქნები!



ნინო ნაკაშიძე

მამა ბაასარა

ერთ საღამოს მამა სამუშაოდან დაღლილი დაბრუნდა. ოთარიკო მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას და კიბეზე მიეგება, შეხედა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:


- რა ფო მამა, ავად ხარ?
- დავიდალე, შეილო, ბევრი ვიმუშავე.

მეორე დღეს დილით, როდესაც მამა ადგა, ოთარიკოც ადგა.

- რა ამბავია, შეილო, ასე აღრად აღექი? — ჰკითხა დედამ.
- მამას უნდა წავყვე სამუშაოდ, მივეხმარები და აღარ დაიღლები, — უპასუხა ოთარიკომ და ქუდა დაიხურა.

მამას გაეცინა, ბაკუნა ხელში აიყვანა, აკოცა და უთხრა:

- ყოჩად, ბიჭო! ისე გამახარე, რომ აწი აღარ დავიღლები.



მაცყალა მრეკლიშვილი

დილა მშვიდობისა


- ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ, ვის უგალობ, ვისა?
- შენ ვიგალობ, პატარავ — დილა მშვიდობისა.
- მზეო, მზეო, ცხრათვალა, ვის უცინი, ვისა?
- გაიღვიძე პატარავ, დილა მშვიდობისა!
- პაწაწინა ყვავილო, რად გამაულე კვირტი?
- შენთვის მინდა, პატარავ, აბა, დამაკვირდი!
- მეც ახლავე ავღვები, მეც დავიბან პარსა, ყველას მივესალმები, დილა მშვიდობისა!

ღმრთეობა

პატარა ქართველი

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრობით სხვაგან ყოფნას
მინრუნებია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო —
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.



პეტიკა

— ჩაძვერი, ჩაძვერი ისევ მიწა-
ში, შე საძაგელო აბა, რა მოგარ-
ბენინებდა! ვერა ხედავ, ჯერ ისევ
აქა ვარ? — უბრაზდებოდა პატარა
ენძელას ზამთარი.

— რისთვის ჩაძვერე? შენი სუ-
ლაც არ მეშინია! მე გაზაფხულს
ვხელებდი, — მიუგო ენძელამ და
უფრო მაღლა ამოიწია.

— ერთი შეხედეთ, რომ არაფ-
რად მაკვდის! — გაბრაზებული ზა-
მთარი მართლაც გააქრობდა ენძე-
ლას, მაგრამ ამ დროს მზემ თავი-
სი თბილი სხივები გამოუგზავნა
პატარა ყვავილს დასახმარებლად.
— ამას კი არ მოელოდა ბებერი
ზამთარი.

ატრდა, მისმა ცრემლებმა დაა-
ლბო მიწა და მინდორზე ერთი კი
არა, მრავალი ენძელა ამოვიდა
გაზაფხულას შესახვედრად.

„ღმრთეობა“



აყვავი, ტურფა ქვეყანავ,
იღბნე ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.

სოსელი

სოსელი (სტალინი)

დილა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაპხველდა იასა,
ზამბახსაც ვაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიაუსა.

ტოროლა შაღლა ღრუბლებში
წკრილ-წკრიალით გალობდა,
ბუღბუღივც გახარებული
ნახის სმით ამას ამბობდა:

„აყვავი, ტურფა ქვეყანავ,
იღბნე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.“



სკიომ და ჭიანჭველი

● მინდორში ამაღლებული ბექო-
ბი იყო. ამ ბექოში ჭიანჭველებს
ბუღუ ჰქონდათ. იმავე მინდორში
სპილო სძოვდა. სპილო მიუა-
ლოვდა ჭიანჭველების ბუღეს,
უნდა ფეხი დაეღდა და დაენერია.
ჭიანჭველები მიეგებნენ წინ
სპილოსა და შეეხვეწნენ: ღმერთი
გაღღერებულეებს. ვა ავეიქციე:
ბუღეს ნუ დაგვიგრევე, ჩვენსა და
ჩვენი შვილების ცოდვაში ნუ ჩა-
დგებიო.

სპილომ გულქვაობა გამოიჩინა,
ყურა არ ათხოვა ჭიანჭველების
ვედრებასა და თქვა: რად უნდა
შევისმინო ამათი თხოვნა, ერთი
წიწვნანი არიან, სამაგიეროს გა-
დახბა არ შეუძლიათ, ისევ ეა-
სჯობია, ჩემი მაღა მათზე გამო-
ვიჩინოო. დაადგა თავისი ტლანქი

ფეხები ჭიანჭველის ბუღეს და
ჩაურგია.

ჭიანჭველები საშინლად გაბრა-
ზდნენ სპილოზე, მიეხვივნენ, აუ-
ცოცდნენ ტანზე ფეხებიდან, ზო-
გი ყურში შეუძვრა, ზოგი ცხვირ-
ში, ზოგი პირში და დაუწყვეს უწ-
ყალოდ კბენა.

სპილო ბევრს ეცადა, როგორმე
მოემორებინა თავიდან თავისი
მწვალებლები, მაგრამ ვერას ვხე-
ვრ მოახერხა. ჭიანჭველები, რაც
ძალი და ღონე ჰქონდათ, ჰკბენდ-
ნენ სპილოს, არც დღისით და არც
ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ.

სპილომ ახლა კი ცხადად დაი-
ნახა, რომ პატარა სულიერებსაც
შესძლებიათ სამაგიეროს გადახბა,
ბებერი ინანა, რად ვუმტრე ჭიანჭ-
ველებსაო, მაგრამ გვიანდა იყო.

იანოზ გოგებაშვილი



შენმა სურვილმა დაძლია,
შენზედ ფიქრმა და სევდამ,
შორს წასვლამ, ხშირად გაყრამ,
გულის თვალების ზედვამ.
მაოცებს შენი გამზრდელი,
ვინც შენ გაგზარდა დედამ.
კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
მე გულს მაწეხარ ნისლადა,
მინდა რომ მძულდე, მოეშოდე,
გულზედ მობმული ღვიძლადა.

ხალხური სიმღერები

მთაო, გადმიშვი, მაღალო,
რა ნისლი მოვიხვევია,
მთას იქით ჩემი ლამაზი
სხვას ვისმეს ჩაუხვევია.

ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მამკლარიყო,
მაღლა შავედ — გამმზარიყო,
ჩამოვიდე — დამპალიყო,
დიდ ქვაბში არ ეტოლა,
პატარაში ლალი იყო,
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
პატარძალმა ლუქმად იგლო.

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს
საწყალი აგერ გორავსა.

ნეტამც არ დაგძინებოდა,
ჩიტო ნობლიავ, ნარზედა,
გადმოვიქროლეს ალალი,
წაგიყვანს მაღლა მთაზედა.

თხას უთხრავს

თხას უთხრეს:—მგელი მამკლარა!
თხამ ნაურლი ჰქნა, გაიქცა.
— თხაო, ნუ გაგზარებია,
განა სამგლეთი დაიქცა.
იმას რო დარჩა ლეკვები,
ისინც მგლებად მაიქცა.

მოფხვავს სწავლაზედ

ბიჭო, ვისი ხარ მაღზაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო.

გზა სიარულმა დალია,
სიბი ქვა-წყალთა დენამა,
ქალი და ვაჟი დალია
ერთმანეთისა ცქერამა.

გადვილი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო.

პართული ანდაზები

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ერთიაო.

უძაღლო ქვეყანაში კატებს აყვავებნო.

ასჯერ გაზომე, ერთზედ გასჭურეთო.

მელამ თავისი კული მოწმედ მოიყვანაო.

კვიცი გვარზე ხტისო.

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

ურემი რო გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო.

ციხე შეგინდან გატყდებაო.

მჩხავანა კატა თავეს ვერ დაიჭურსო.

ალვის ხე ცამლის ასული, ჭინჭველას წაუქცევიაო.

საღაც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეთო.

არა მკითხე მოამბეო, მიტყვიხე და მიაგეთო.

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.

**შურნალის ეს ნოემარი გამოდის უცხოეთში მცხოვრებ თანამე-
გაფულეებთან კულტურული კავშირის საპარტიველოს საჯრობა-
ლოების პრაზიდუმიის თსოვნით.**

სარამაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარაქიანი — თავმჯდომარე,
გულნარა ბახტაძე — კასუსისმებაიელი რედაქ-
ტორი, ვასილ გვამბაძე, ნახაბ თათარაშვილი,
ზურაბ კვანტრიანი, თედო ნინია, დინარა
ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ ზინზა-
ლია, ზურაბ წამბეთელი, თამაზ ბილაძე.

გადაეცა წარმოებას 26.02.97. ხელმოწერილია დისაბექლად 4.04.97.
ქალაქის ზომა 60X90/8, გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება
ოფსეტური წესით. ფოტოგრაფი ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 5,6. საღარიცხო-საგამომცემლო თაბახი 5,69.

ტირაჟი 1 000. შეკვეთა 127. ფასი სახელმწიკრულემო.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისელ ბიჭუნებს. ისინი ერთ ეზოში გაიზარდნენ, ერთ სკოლაში სწავლობენ და ერთ სახლში ცხოვრობენ. შშობლიურ ქართულიან ერთად მათ უცხო ენებიც ფცაან. ირანელი თანატოლებო! ეს ერთ თბილისელი ბიჭების გაცნობა, მათთან დამეგობრება? ვთავაზობთ მათ მისამართებს: თბილისი, ფანასკერტელის ქუჩა, შე-XI კორპუსი, შე-IV სადარბაზო.

ფოტოზე: წინა რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ელმზარ (გუგა) ღონაშვილი, კაკული რატანი, ნიკუშა გუგუშვილი; მეორე რიგში: ხანდო ბასიაშვილი, მამიკო ჩანუა, ლევან ღონაშვილი, ვიორეა ჩანუა.

1990-1991/2

